# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 10 აგვისტო. 2017 წ. №161 (8298), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## აფხაზური ტურიზმი კრიმინალში ჩაიძირა




8

**რა თანხით ეხმარება რუსეთი აფხაზეთს და რაში იხარჯება გამოყოფილი ფული**





2

## პოლიტიკური ჭკუამჭიდი

- მარტო ოკუპანტის ძახილი და ნატოთი გულმოცემულობა, ჩვენს უაღრესად საჭირბოროტო საქმეს ვერ უშველის!
- ღმერთმა გვაშოროს ომით აღდგენილი ძმობა, ღმერთმა გვაშოროს გავეშებული აქლემების შეტაკება, როცა ჩვენ უმწეო კოზაკებივით გავიჭყლიტებით. ჩვენი გამარჯვება არა მოქნეულ მკლავში, არამედ მოქნილ ჭკუაშია!

## ავანტიურისტ სააკაშვილს ინტერპოლის არხებით ეძებენ

3



## მეხანძრეებმა და მაშველებმა ამჯერადაც ივაჟკაცეს!



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მეხანძრეებს და მაშველებს გუშინ მადლობა გადაუხდა.**

პრემიერის განცხადებით, მათ მთაწმინდის რაიონში საკმაოდ რთულ რელიეფზე, უმოკლეს დროში მოახდინეს ხანძრის ლოკალიზება და შემდეგ, დარჩენილი კერების სრულად ლიკვიდირება. ამით მათ საფრთხე აარიდეს მოსახლეობას.

**„ამასთან, მთელი ღამის განმავლობაში ჩვენი შესაბამისი სამსახურები მობილიზებულნი იყვნენ შემთხვევის ადგილზე და ატარებდნენ პრევენციულ სამუშაოებს. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.**

**კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უზრუნველყო ხანძრის ლიკვიდირება და მოსახლეობისთვის საფრთხის არიდება“,** — წერია პრემიერის მიერ გავრცელებულ მადლობის წერილში.

## ანგელა მერკელს სააკაშვილზე მაღალი წარმოდგენა არ ჰქონდა!

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ, დენიელ ფრიდმა შეკითხვაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა დასავლეთი პუტინის მიმართ უფრო მკაცრი, განსაკუთრებით საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ, ასე უპასუხა:**

საქართველოში ომის დროს ბუშის ადმინისტრაციას არ ჰქონდა პუტინზე ზემოქმედების დრო და ძალა, გულახდილად რომ ვთქვათ, დასავლეთი გაყოფილი იყო, გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს მიხეილ სააკაშვილზე მაღალი წარმოდგენა არ ჰქონდა და მხარს უჭერდა რუსეთს.

## პარკინგის მენეჯმენტს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს!

**ჩემი აზრით, სწორი მოდელია, როდესაც პარკირების მენეჯმენტს ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მძღოლების და ფეხით მოსიარულეების ინტერესები და სათანადოდ იქნება დაცული მათი უფლებები. თბილისელების მიერ გადახდილი თითოეული თეთრი ვინმეს ჯიბეში კი არ წავა, არამედ პირდაპირ იქნება მიმართული ქალაქის ბიუჯეტში და მთლიანად მოხმარდება პარკირების პროექტების განხორციელებას. ეს არის ის, რაც ჭირდებათ თბილისელებს,** — ეს განცხადება პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ ახალ ვიდეომიმართვაში გააკეთა, რომელიც გუშინ გავრცელდა.

## ნარკომანია ანადგურებს ახალგაზრდებს!

**ბათუმში გარდაცვლილი 2 ახალგაზრდის ცხედარი პროზექტურიდან ოჯახებში გადაასვენეს.**

არსებული ვერსიით, გარდაცვალების მიზეზი ნარკოტიკით ინტოქსიკაციაა, რომელსაც ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან. მათი ვარაუდით, ახალგაზრდები მოკლეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც უწყება განმარტავდა, რომ პირველადი დათვალიერებით, ცხედრებს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

**შეგახსენებთ, გიორგი ხაჭაპურიძეს და ზვიად სალთხუციშვილს 4 დღის განმავლობაში ეძებდნენ. მათი ცხედრები ნაქირავებ ბინაში იპოვეს. გიორგი ხაჭაპურიძემ გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე შსს-ს მასზე განხორციელებული შანტაჟის გამოძიების მოთხოვნით მიმართა. აღნიშნული ფაქტი უწყებამ გუშინ დაადასტურა.**

**ისტორიის „ქართული“ ქარი**

5

## მარშალი იაზოვი: სიმართლე და სიცრუე სტალინზე

7



# პოლიტიკური ჭკუამჭიდი

**თუ სპორტში უკვე კარგა გვარიანად მოიკიდა ფეხი ტერმინმა მკლავჭიდმა, ვითომ რატომ არ ივარგებს ტერმინი პოლიტიკური ჭკუამჭიდი. ჩემი აზრით, ძალიანაც ივარგებს, მით უმეტეს, რომ მკლავის ძალაც ჭკუაზე ჰკიდია და მარტო მკლავის მოქნევის იმედად ყოფნა — ჩვენს მტერს! ჭკუამ თუ არ ივარგა, ჭკუამ ჭკუას თუ არ აჯობა, საქმე ნამდვილად ჩაფლულად ჩათვალე.**

დღეს ყველა ჭკუათამყოფელისთვის, შინაურისთვისაც და გარეულისთვისაც, აშკარაა, რომ ის ავადმოსაგონარი ხუთდღიანი აგვისტოს ომი უწინარესად ავანტიურისტ სააკაშვილის უმჭკუობის ბრალია. მაგრამ, საუბედუროდ, ამ ავანტიურისტმა ეს თავისი ნაავკაცარი ისეთნაირად შეფუთა, უფრო სწორად, ისე მამაძაღლურად შეაფუთინა თავის ერთ-ერთ ბომბორა კუდს, აგვისტოს ომის ვითომ შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს (ხომ გახსოვთ, მელამ კუდი თავის მოწმედ რომ მოიყვანა!) საბიუჯეტო ფულით გაპირბუდაღებულ პაატა დავითაიას (აფსუს სახელო?!), რომ თუ პირველი გასროლის, ანუ ომის დაწყების მოთავედ სააკაშვილი გამოცხადდებოდა, მაშინ ამ ძმათამკვლელი ომის გამჩაღებლად თვითონ საქართველო, თვითონ ქართველი ხალხი გამოდიოდა, რაც არც ერთი ქართველისთვის ხელსაყრელი არ იყო.

და აგერ უკვე ცხრა წელიწადია, რაც ბოკერიები, ბაქრაძეები (მტრის დანა-ჩანგლით მოგერიების მომხრე!), მინაშვილები, ჭიაბერაშვილები, წერეთლები, რატიანები, ბოკუჩავები, გოგორიშვილები, ვაშაძეები და ღვიძლი და-ძმანი მათნი ჯიუტად იმის მტკიცებაში არიან, ომი ოსებთან ერთად რუსებმა დაიწყესო, და ყოველ 8 აგვისტოს უცხოდ ჩაგვირგვინებულები უსირცხვილოდ მიდიან უშუალოდ სააკაშვილის ხუშტურების გამო ატეხილ ომში დაღუპული ახალგაზრდების საფლავებთან... თვითონ საქართველოდან მზაკვრობისთვის გაძევებული და უკრაინიდან ვერაგობისთვის გამოძევებული გიულის ბიჭი კი, უპასპორტო პოლიტიკურ მაწანწალად ქცეული, მსოფლიო ღობე-ყორეს არის მოდებული...

თავისი შავი საქმეების გასათეთრებლად მან ამერიკელებს საგანგებოდ მხატვრული ფილმიც კი გადააღებინა, რაც არა ერთი და ორი მილიონი დაჯდა, თავი ისტორიულ გმირად გამოიყვანა, და მარტო ესეც არ იკმარა, საქმეში თავისი კერძო კინომემატიანე თომა ჩაგელიშვილიც ჩართო და სამარცხვინოდ წაგებული ომი გამარჯვებულად გამოაცხადა... „ცრუსთავი-2“-მა ამ დღეებში ეს ორივე ფილმი რამდენჯერმე დაატრიალა, სინამდვილეში მომხდარი ომის საწინააღმდეგოდ, ანუ კიდევ ერთხელ გამართა პოლიტიკური ჭუპა-






ჭუპა საშვილიშვილოდ გაბინძურებული გიულის ბიჭის გასაბანად, და კადრს მიღმა თვითონ გენერალური დირექტორის გვარამიას, ცოტა არ იყოს, უკვე შემკრთალი ხმა ისმოდა: დათვი მჭლე და შენ მსუქანიო. როგორ ფიქრობთ, განა შეიძლება ამჟამად უკვე პოლიტიკური მაწანწალის აგრერიგად ჩაკურატება-ჩაგოდრება. თუმცა, ამბობენ, ზოგმა დარდზე იცის ჩასუქებაო...

ეს ოხერი სათქმელი იმდენია, ლამის წერილის სათაური მაგულმავიწყა... პოლიტიკური ჭკუამჭიდობა კი, მკლავჭიდობის მსგავსად, წერილისთვის აფხაზეთში პუტინის ჩასვლამ დამარქმევინა.

ეს თითქმის მთელი დასავლეთისგან შერისხული პუტინი მკლავჭიდში რომ მაგარი ვინმეა, თვითონ ტრამპსაც კარგად მოეხსენება, მაგრამ სად მკლავი და სად ჭკუა!

ეს ჩვენი „კასპელი“ პუტინი ახლა აშკარად არა მკლავჭიდში, არამედ ჭკუამჭიდში იწვევს დასავლეთს თავისთავად და საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ. აფხაზეთში ამჟამინდელი სტუმრობაც, ხელგაშლილობაც და გულგაშლილობაც თავისებური ჭკუამჭიდობაა. თავისებური პოლიტიკური გამოწვევაა, რომელსაც ჯიუტად თავს არიდებს საქართველოს ხელისუფლება, ცხადია, დასავლეთის და კერძოდ, ნატოს იმედზე, რაც ღმერთმა არ მოგვიშალოს, მაგრამ ვაი, რომ იმედი რეზინივით არის — უსაშველოდ შეიძლება რომ გაიწელოს, თანაც კიდევ, თუ ერთ-ერთ მხარეს ხელი გაეშვა, მეორე მხარეს უთუოდ ძალიან მწარედ მოხვდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ იმპერიული ამბიციებით გატიკნილი პუტინი აფხაზეთიდან ახლა ცხინვალისკენ აიღებს გეზს, ახლა იქ გამოიჩენს ხელგაშლილობასაც და გულგაშლილობასაც.

როგორც ჩანს, არც აფხაზებს და არც ოსებს ჩვენკენ გამოხედვა არ უნდათ, მაგრამ აშკარაა, რომ არც ჩვენ ვიკლავთ თავს იქით გასახედად. თითქმის მთელი 25 წელიწადია სხვაგან, შორს ვიყურებით, თანაც ისე შორს, როგორც იტყვიან, საკუთარ წამწამებსაც ვეღარ ვხედავთ.

არადა, შორს როგორ წახვალ, თუ თვალწინ არ იყურები. იქნებ წინ სულაც ისეთი ორმოა, თუ ჩავარდი, ამოსვლაზე აღარც იფიქრო, რადგან ცარიელა ფიქრები ორმოდან ამომყვანზე ხშირად უშედეგოდ მთავრდება. ასე რომ, უშუალოდ შენ თავად მოგიწევს ხელის განძრევა და ორმოდან ამომყვანის მოლოდინში დროის დაკარგვას ბევრად აჯობებს, რომ შენვე თხარო ზემოთ ამოსასვლელი საფეხურები.

თუ ამჯერად ჭკუამჭიდობის ჟამია, მკლავჭიდობას უნდა შევეშვათ. ჩვენ მაგივრად სხვა ვერ დაელაპარაკება ვერც აფხაზსა და ვერც ოსს. როგორც იტყვიან, დედამ იცის მუნჯის ენა. ჩვენი ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე ისტორიას არ ახსოვს, რომ ოდესმე ჩამომდგარიყოს ქართველთა, აფხაზთა და ოსთა შორის მუნჯობის ხანა, როცა ვინმე მესამის საშუალებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ეს იმიტომ, რომ ქართველის, აფხაზისა და ოსის ჭკუა ყოველთვის სასიკეთოდ და საძმოდ იყო მომართული. ქატო — იქაო, ფქვილი — აქაო, ერთხმად ამბობდნენ მუდამ ქართველიც, აფხაზიცა და ოსიც...

**მარტო ოკუპანტის ძახილი და ნატოთი გულმოცემულობა, ჩვენს უაღრესად საჭირბოროტო საქმეს ვერ უშველის!**

**ღმერთმა გვაშოროს ომით აღდგენილი ძმობა, ღმერთმა გვაშოროს გავეშებული აქლემების შეტაკება, როცა ჩვენ უმწეო კოზაკებივით გავიჭყლიტებით.**

**ჩვენი გამარჯვება არა მოქნეულ მკლავში, არამედ მოქნილ ჭკუაშია!**

**გურამ გოგიაშვილი**



## გურიას ახალი გუბერნატორი ეყოლება

**გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე თანამდებობას ტოვებს.**

გავრცელებული ინფორმაციით, მას ამ ადგილზე მერაბ ჭანუყვაძე შეცვლის. როგორც ცნობილია, სალუქვაძე თანამდებობას მომავალ კვირას დატოვებს.

## გურიის შემდეგ თანამდებობას რაჭის გუბერნატორი ტოვებს



**გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის შემდეგ თანამდებობას ამჯერად რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე ტოვებს.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად სალუქვაძის მსგავსად ისიც სხვა თანამდებობაზე გადადის. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ შეცვლის მას. მარგველიძე გუბერნატორად ღარიბაშვილის პრემიერ მინისტრობის დროს დაინიშნა. გუბერნატორამდე ის იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში შემოსავლების სამსახურის უფროსი იყო.

### აი, ჭკუასუსტი მერობის კანდიდატი!

## ნარმანია, მორჩი მაიმუნობებს!..

**მოვუწოდებ მერიას, გაჩერებული 50-მდე ლურჯი ავტობუსი გამოიყვანოს,** — ამის შესახებ თბილისის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ახალი 143 ლურჯი ავტობუსიდან თბილისის მერია მხოლოდ ნაწილს იყენებს. 50-მდე ავტობუსი კი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ნომერ მეორე ავტობაზაზე ამ დრომდე უფუნქციოდ დგას.

**„მერიას ჩემოყვანილი ავტობუსების მხოლოდ ნაწილი გამოყავს. თბილისის მერიას არ ადარდებს, რომ ხალხი ამ სიცხეში იხრუკება. მისცენ მითითება, რომ გამოიყვანონ ყველა ავტობუსი. მოვუწოდებ ნარმანიას, მორჩეს ამ წინასაარჩევნო მაიმუნობებს“,** — განაცხადა ელისაშვილმა.

## თითო კაცი გვესტუმრა, ესეც საქმეა!..

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით ივლისში 18 ქვეყნიდან საქართველოს თითო მოქალაქე ესტუმრა.**

ეს ქვეყნებია: ანტიგუა და ბარბუდა, ბარბადოსი, გრენადა, ჰაიტი, სენტ-ლუსია, ვატიკანი, ვირჯინიის კუნძულები, გაიანა, ჩრდილოეთ კორეა, ამერიკული სამოა, ტუვალუ, მოზამბიკი, სეიშელის კუნძულები, ბენინი, სენეგალი, სიერა-ლეონე, ტოგო, ბოტსვანა.

## უკრაინის ეკონომიკის მინისტრი საქართველოში ჟურნალისტებთან ერთად ჩამოვიდა

უკრაინის ხელისუფლება იმ მიღწევებითა და შედეგებით არის დაინტერესებული, რასაც საქართველომ ტურიზმის სფეროში ბოლო წლებში მიაღწია.

**„უკრაინა გრძნობს ძმურ დახმარებას საქართველოსგან იმ კუთხით, რომ ვისწავლოთ თქვენგან, როგორ ვიმუშაოთ ტურიზმის სფეროში მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობა არის 3 მილიონი და 500 000 დასაქმებულია ტურიზმის სფეროში, ტურისტების რაოდენობა კი 6-ჯერ არის გაზრდილი, ჩვენ ვიგებთ, თუ როგორ მოახერხეთ თქვენ იმავე პრობლემით, ოკუპაციის პირობებში, ამ სფეროს ამუშავება,“** — განაცხადა უკრაინის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ მიხაილ ტუტარენკომ.



## ელენე ხოშტარია არჩევნებამდე თბილისის ყველა უბანში იცხოვრებს!!!

**„ევროპული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი ელენე ხოშტარია გეგმავს, რომ თვითმმართველობის არჩევნებამდე, თბილისის სხვადასხვა უბანში იცხოვროს.**

მერობის კანდიდატის განცხადებით, პროცესებს შეხედო ამ ადამიანების თვალით, არის ბევრად უფრო ფასეული, ვიდრე თუნდაც კონკრეტული პიარშედეგი, რომელიც ამან შეიძლება მოიტანოს. მისი თქმით, დარჩენილ ორ თვეში, რამდენიმე დღით, აბსოლუტურად ყველა უბანში იცხოვრებს.

**„იმ უბნის ჩვენს პარტიულ ოფისში ვიმუშავებთ, მთელი ჩემი შტაბი იქ იქნება. ყველა სპეციფიკურ ადგილას, ყველა პრობლემურ ადგილას მინდა რომ მოვახერხო ცხოვრება. რა თქმა უნდა, ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს კონკრეტულად საარჩევნოდ ახლა მე ეს რას მომიტანს“,** — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

# კალაძე მაინც მოიგებს, დანარჩენები კი ერთმანეთს დაჭამენ!

## იქნება თუ არა მეორე ტური მერის არჩევნებზე?



**როგორც ყოველთვის საქართველოში, უკლებლივ ყველა არჩევნების წინ, მთავარი თემა კვლავ „ოპოზიციის გაერთიანებაა“. ამას მუდამ „ხალხიც მოითხოვს“ და ზოგიერთი პარტიაც, თუკი საღად მოაზროვნე ლიდერი ჰყავს.**

„ხალხის“ შემთხვევაში უფრო გაუაზრებელი ინსტინქტია, ხოლო ლიდერებისა – ეგოისტური გათვლა. არადა, ორივე მუდამ ცდება იმ უბრალო მიზეზით, რომ რაკი საქართველოში „პოლიტიკური პარტია“, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, სინამდვილეში არ არსებობს (არსებობს „სახელმწიფო“ ანუ „სახელისუფლებო პარტია“, აგრეთვე წინა ხელისუფლების ნარჩენები და მცირე პოლიტიკანური ჯგუფები) გაერთიანება ვერაფრით ვერ მოხერხდება: საკუთარი „ბუნების“ წინააღმდეგ ეს ჯგუფები არ წავლენ ყველაზე ჭკვიანური, ანუ რაციონალური მოსაზრებითაც კი, რადგან ამ შემთხვევაში ჭეშმარიტ პოლიტიკურ პარტიათა ემბრიონები მაინც იქნებოდნენ, რაც ნამდვილად არ არიან.

მიუხედავად „გაერთიანების შესახებ“ მოლაპარაკებათა მრავალგზის ჩაფლავებისა, მაინც მუდამ იწყება ხოლმე ეს საუბრები. გუშინწინაც, „ზეახალი“ პარტიის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ყველა ოპოზიციურ კოლეგას მოუწოდა, შეთანხმდნენ მერობის ერთიან კანდიდატზე. „თორემ წავაგებთ პირველივე ტურში“ – აფრთხილებს ყველას ვაშაძე.

როგორც ჩანს, ამ „ერთიან კანდიდატში“ იუსტიციის სახლის ხუროთმოძღვარი საკუთარ პერსონას ან საკუთარ „ზეახალი“ პარტიის წარმომადგენელს არ გულისხმობს. ამდენად, ღირს მისი არგუმენტაცია უფრო ყურადღებით განვიხილოთ. მით უმეტეს, „ძირითადმა“ ოპოზიციურმა პარტიებმა უკვე უარი სტკიცეს (როგორც ყოველთვის): შენ ვინა ხარ საერთოდ, რომ ჭკუას გვასწავლი? ჩვენი კანდიდატი ისედაც გავა მეორე ტურში და არანაირი გაერთიანება არ გვჭირდება... ბოლო-ბოლო, მეორე ტური რომ იქნება, მაშინ გავერთიანდებით...

„გაერთიანება არ სჭირდება“ მთავარ პოპულისტ კანდიდატს ალეკო ელისაშვილსაც, რომელსაც „მეორე ტური“ ისედაც განაღდებული ჰგონია. ეს როგორც მინიმუმ, თორემ თბილისის მერად თუ ირჩევენ, არც ეს გაუკვირდება.

* * *

**არადა, გიორგი ვაშაძე ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართალია! იგი „კოლეგა-ოპოზიციონერებს“ აფრთხილებს: თუ გვინდა მეორე ტური, უნდა გავერთიანდეთ, თუ არ გავერთიანდებით, „ოცნების“ კანდიდატი კახი კალაძე გაიმარჯვებს პირველივე ტურში, გახდება მერი და ოპოზიცია დარჩება ხახამშრალი.**

ვაშაძე უბრალოდ ითვალისწინებს წარსულის გამოცდილებას (რასაც ჯიუტად არ ითვალისწინებენ მისი „კოლეგები“), აგრეთვე, ამერიკული NDI-ს ბოლო გამოკითხვის შედეგებს.

ოპოზიციური ლიდერები აცხადებენ, რომ სწორედ ეს გამოკითხვა ადასტურებს მათი ტაქტიკის სისწორეს: იქნება მეორე ტური... კახი კალაძე ვერ დააგროვებს იმდენ ხმას, პირველივე ეტაპზე მოიგოს... „მოხდება“ მეორე ტური და იქ... აი იქ გავერთიანდეთ მერე დევიზით „ყველა ერთის წინააღმდეგ“.

„რატომღაც“ (თუმცა ეს „რატომღაც“ როგორც ყოველთვის – ყველა წინა შემთხვევაშიც უკვე 20 წელია!!!), ამ ხალხს ჩლუნგად არ შეუძლია, ან, კიდევ უარესი, ჩლუნგად არ სურს გაითვალისწინოს: იმავე NDI-ს მონაცემებით, კახი კალაძე მართლა ვერ აგროვებს იმდენ ხმას, პირველივე ტურში მოიგოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ პირობით, იმ „დათვლითა“ და იმ „გათვლით“, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ე.წ. „გადაუწყვეტელი“ ან „მერყევი“ ამომრჩევლის კოლოსალურ რაოდენობას, ვინც ამბობს, რომ „ჯერ არ იცის“, ვის მისცემს ხმას ან არ სურს გაამჟღავნოს თავისი გადაწყვეტილება.

როგორც წესი, თუ ქვეყანაში არ მოხდა რაღაც განსაკუთრებული და შემაძრწუნებელი („გლდანის ციხის კადრების“ მსგავსი) მოვლენა, ამომრჩევლის ეს კატეგორია ხმას აძლევს სახელისუფლებო კანდიდატს, რაკი აზროვნებს ასე: „კალაძე მაინც მოიგებს და... ესენი მაინც ერთმანეთს დაჭამენ და...“

* * *

**იმისთვის, რათა „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“, ან ის ამომრჩეველი, ვინც ოპოზიციისთვის ხმის მიმცემია, საერთოდ მივიდეს არჩევნებზე, მით უმეტეს ოპოზიციას მისცეს ხმა, აუცილებელია, მან დაინახოს „ძალა“ ოპოზიციურ ფლანგზე. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველივე ტურის დროს წამყვანი ოპოზიციური პარტიები გაერთიანდებიან და შეთანხმდებიან საერთო კანდიდატზე. იდეალური ამ მხრივ იქნებოდა სწორედ პოპულისტი ელისაშვილი, თუმცა ეს უკანასკნელი თვითონ იტყვის უარს.**

თუ ოპოზიცია პირველივე ტურში არ გაერთიანდა და „გადაუწყვეტელმა“ ამომრჩეველმა, ან პოტენციურად პროტესტულმა ამომრჩეველმა შანსი არ იგრძნო, მაშინ არავითარი მეორე ტური არ იქნება – კახი კალაძე პირველივე ტურში მიიღებს 50%-ზე მეტ ხმას და ოპოზიცია კვლავ წააგებს.

**აქ ყველაზე კომიკური მაინც ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე მისი განაყოფი „ევროპული საქართველო“, რომელიც წლების განმავლობაში სწორედ ამ „გადაუწყვეტელი ამომრჩევლის“ სინდრომით ამარცხებდა ოპოზიციას, ახლა, როცა თვითონაა ოპოზიციაში, საკუთარ გამარჯვებათა გამოცდილებასაც არ ითვალისწინებს და წარსულში მის მიერვე დამარცხებულთა გზით მიდის.**

**ამ მხრივ გიორგი ვაშაძე „ნაციონალური გამონაკლისია“.**

**ნიკა იმნაიშვილი**

# ავანტიურისტ სააკაშვილს ინტერპოლის არხებით ეძებენ



**საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მორიგ ავანტიურას იწყებს, ევროპაში მოგზაურობს და კვლავ საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში ხვდება; მიხეილ სააკაშვილი ამჟამად ლიტვაში იმყოფება. მან ვილნიუსში რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა.**

ექსრეზიდენტი ინტერვიუებსაც აქტიურად იძლევა და სოციალურ ქსელებში განცხადებებსაც მაღალი ინტენსივობით ავრცელებს

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სააკაშვილი ევროპაში ბრუნდება – ამის შესახებ ინფორმაციას THE NEWS INTERNATIONAL ავრცელებს. მედიასაშუალების ცნობით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც არც საქართველოს და არც უკრაინის მოქალაქეობა აღარ აქვს, პოლონეთში აღმოჩნდა, საიდანაც ევროპაში მოგზაურობა დააანონსა.

THE NEWS INTERNATIONAL-ის ცნობით, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და პირობა დადო, რომ უკრაინის პრეზიდენტის მიერ მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

როგორც მაუწყებელი წერს, პარასკევს საღამოს სააკაშვილმა ვარშავაში, პოლონეთის ტელევიზიას განუცხადა, რომ ქვეყნებში მოგზაურობისას პრობლემები არ შეჰქმნია.

**„ამერიკელებმა არ შემაჩერეს, არც პოლონელებმა“,** – განაცხადა მან... **თანამდებობის პირების მიერ სიამოვნებით მიღების შედეგად, აქ ვარშავაში ვიმყოფები“,** – აცხადებს ის.

THE NEWS INTERNATIONAL-ის ინფორმაციით, უცნობია, თუ რა სამგზავრო დოკუმენტებით გადაადგილდება სააკაშვილი, მაგრამ პოროშენკოს გადაწყვეტილება მას მოქალაქეობის გარეშე ტოვებს.

**„ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავმართავ შეხვედრებს, მათ შორის ბრიუსელშიც“**, – განაცხადა სააკაშვილმა.

მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის მხარეს ინტერპოლის არხებით მიმართა.

**„ამავე დროს, პარალელურად, 4 აგვისტოს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით მიმართა პოლონეთის რესპუბლიკის პროკურატურას. ამავე დღეს, 4 აგვისტოს, ვარშავის ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ქართული მხარის მიერ გაგზავნილი დოკუმენტაცია, რაც მათი მხრიდან დასტურებულ იქნა თბილისის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას. ამ დროისთვის მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი პროცედურა“,** – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სისხლის სამართლის ოთხ საქმეზე 11 წლით პატიმრობა ემუქრება – უკრაინული გამოცემა „ობოზრევატელი“ საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ნათია სონღულაშვილის კომენტარს აქვეყნებს.

**„ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში სისხლის სამართლის ოთხ საქმეს აწარმოებს, რომელზეც დასრულებულია გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ყველა ამ საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს“,** – აღნიშნა ნათია სონღულაშვილმა.

**„მას შემდეგ, რაც 2012 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმად, მიუხედავად ბრალდების რაოდენობისა, ყველაზე მძიმე მუხლი სხვა მუხლებს შთანთქავს. კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შემდეგ, სასჯელის დაჯამება არ ხდება. ამის გამო, თუ პირს 3-4 ბრალდება აქვს წაყენებული, ის მხოლოდ ერთ სასჯელს მოიხდის. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს 11 წლით პატიმრობა ემუქრება თუ სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს“,** – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა.

როგორც ცნობილია, სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა 2015 წელს უკრაინის პასპორტის მიღების გამო დაკარგა, რადგან ქვეყანა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას არ აძლევს.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ევროპულ მედიასთან საუბრისას, შენგენის ზონაში აპირებს გამგზავრებას, სადაც არანაირი სამგზავრო დოკუმენტის წარდგენა არ მოუწევს.

THE NEWS INTERNATIONAL-ის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი, მის მშობლიურ ქვეყანაში, ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალაუფლების გადამეტებისა და 2008 წელს რუსეთთან ხანმოკლე ომის წამოწყების გამო, ძებნილია.

**მარიამ თოდაძე**

**ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში სისხლის სამართლის ოთხ საქმეს აწარმოებს, რომელზეც დასრულებულია გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ყველა ამ საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს**

# ჩვენ შესახებ ჩვენთვის საინტერესო თემებს ჩვენ გარეშე განიხილავენ



## ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, ბატონ დავით თევზაძესთან

**— შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის ექო დიდხანს დარჩება საქართველოში. მაიკ პენსმა საქართველოს მოსახლეობას გულისა თუ ყურისათვის მართლაც საამო სიტყვებით დაამახსოვრა თავი. ერთ-ორ ციტატას მოვიყვან: „...დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია ყოველთვის მკაცრ პასუხს გასცემს იმ ქვეყნებს, რომლებსაც სურვილი ექნებათ, ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი...“ „...ყველამ ვიცით ქართული ანდაზის სიბრძნე „ძალა ერობაშია. ჩვენ ერთად უფრო ძლიერები ვიქნებით, ძლიერები ვიქნებით რწმენაში, თავისუფლების რწმენაში და რწმენაში ღმერთის მიმართ, ვისგანაც იშვა ჩვენი თავისუფლება...“ ეს ბრწყინვალე სიტყვებია, რაც კი პოლიტიკოსს შეიძლება, საქართველოში ეთქვა. მაგრამ შევეცადოთ, გავარკვიოთ, რა დგას ამ სიტყვების უკან, როგორ შეძლებს მის ცხოვრებაში რეალიზებას შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და რას უპასუხებს მას რუსეთი, რომელსაც ნატოს სამხრეთ კავკასიაში გაფართოების პერსპექტივა წონასწორობას აკარგვინებს. ბატონო დავით, ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი წავიდა... 8 აგვისტოს სოხუმში ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტი, სადაც იგი 2013 წლის შემდეგ არ ყოფილა. როგორ დაახასიათებთ ამ ვითარებას? ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველო შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ტერიტორია გახდა?**

— ზოგადად, რადიკალური დასკვნების წინააღმდეგი ვარ. როგორც ჩანს, დაპირისპირების ტერიტორია არა, მაგრამ ვაჭრობის თემა იქნება. ახლახან კიდევ ერთი ცნობა იყო, რომ ფილიპინებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შეხვდა ლავროვს და მათ იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ ითანამშრომლონ სანქციების შემდეგ. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟღერადობა სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეებიგან სხვადასხვა ტონალობაში ისმის ხოლმე, სერიოზულად დიდი ძალები მზად არიან იმისათვის, რომ ერთმანეთს ომის რეჟიმში ესაუბრონ. ამ ეტაპზე მზად არ არიან, მათი ეს დაპირისპირება რეალურ საბრძოლო სივრცეში გადაიტანონ. ამდენად, არსებობს დრო, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ გარკვეული შედეგების მისაღწევად უნდა გამოიყენოს. და ეს დრო არსებობს ყველასთვის, მაგრამ ბოლო 20—25 წლის განმავლობაში ჩვენს განვითარებას რომ ვაკვირდები, დროის გამოყენება ვერ ვისწავლეთ. იმედია, პარტნიორების დახმარებით შევძლებთ, რომ საგარეო ასპარეზზე ჩვენი პოლიტიკური იმიჯი ცოტა მაინც გავიუმჯობესოთ, რათა ვითარებიდან, რომელიც ჩვენს გარშემო, გეოპოლიტიკურ სივრცეში იკვრება, ხეირი ვნახოთ.

**— ვუსმენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების საზეიმო განცხადებებს, განსაკუთრებით ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ და სულაც არ აქვთ განცდა, რომ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე იმიჯის გაუმჯობესება სჭირდება...**

— შესაძლოა, მე იმიჯი ცუდად ვთქვი, უფრო ავტორიტეტს ვგულისხმობდი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ავტორიტეტი „პლინტუსის“ დონეზეა, ანუ ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. ჩვენ გარშემო ჩვენ შესახებ ჩვენთვის საინტერესო თემების განხილვა ჩვენ გარეშე ხდება. ეს ცუდი რეალობაა. ჩვენი პოლიტიკური ელიტა ძალიან ინფანტილურია. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, იმის წინისაც.

**— ამ თემიდან შეგვიძლია უფრო გლობალურ სტრატეგიულ თემებზე გადავიდეთ, სტრატეგიაში უფრო სიმბოლიზმის მნიშვნელობაზე. ზოგჯერ, საგნის თუ მოვლენის სიმბოლური მნიშვნელობა, ერთი თეორეტიკოსის არ იყოს, უფრო ცხადია, ვიდრე რეალობა. ერთ სიმბოლოზე მინდა გავამახვილო ყურადღება: საქართველოში 2-3 დღე არ წყდებოდა აღტაცებული შეფასებები იმის თაობაზე, რომ ფოთიდან ამერიკული ჯავშანტექნიკა დაიძრა და გამოიარა ის მონაკვეთი, სადაც საოკუპაციო ზოლი ახლოსაა და ამაში რაღაც სიმბოლო იქნა ამოკითხული. უფრო რეალისტებმა თქვეს — ეს ტექნიკა გოდერძის უღელტეხილიდან ხომ არ შემოვიდოდაო?! თქვენ რაიმე სიმბოლოს ხედავთ იმაში, რომ ასე დემონსტრაციულად გაიარა ტექნიკამ?**

— მე არ ვიტყოდი, რომ დემონსტრაციულად გაიარა. რეალურად, სხვა დამაკავშირებელი გზა, უბრალოდ, არ არსებობს, რაც ასევე არაა კარგი ქვეყნისთვის, ანუ ქვეყანაში შიდა გზები განვითარებული არ არის. მე ამ თემაზე ამირან სალუქვაძის შეხედულებას გავეცანი და აბსოლუტურად სწორი იყო, რომ ფოთიდან თბილისის მიმართულებით ამ ტექნიკის ყველაზე იაფი და სწრაფი გზა სწორედ ის იყო, რომ ასე გამოევლო. ვიღაცამ ამაში კუნთის თამაში ან გაპიარება დაინახა, უფრო რეალისტებმა კი დაინახეს, რომ ამგვარი გადაადგილება იყო ერთ-ერთი ეტაპი იმ წვრთნებისა, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

**— ხალხს აინტერესებთ, რას ნიშნავს მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში? ამ სიტყვებით თამაშს ხომ არ სჯობია, რომ საქართველოს საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა შეიმუშაოს სხვა მესიჯი, მაგალითად — შევდივართ ნატოში დროებით ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე, რათა განვვითარდეთ იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს კანონები და საქართველოს კონტროლი ვრცელდება?**

— ჯერ ერთი, არ ვიცი, ვინ არის ამ დევიზის ავტორი. მეორე — ძალიან ბუნდოვანია „მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში“. არ ვიტყოდი, რომ ძალიან კარგი თეზისია. იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ ვართ, ჩვენ რომ შეგვძლებოდა თავის დროზე ნატოს წევრები გავმხდარიყავით, რა თქმა უნდა, ეს დაცულობის საკმაოდ მაღალი ხარისხი იქნებოდა და ჩვენს ქვეყანას რეალურად მისცემდა მშვიდობიანი განვითარების საშუალებას. ხოლო რამდენად მოხერხებადია ეს დღეს, ამის თქმა ძალიან გამიჭირდება, რადგან როგორც უკვე ვახსენე, რეალურად დიდი ძალები: ნატო-რუსეთი, შეერთებული შტატები-რუსეთი, ჩინეთი-რუსეთი და ა.შ. არცერთი ეს ძალა არ არის ერთმანეთთან საომრად მზად. ცდილობენ, რომ ერთმანეთთან მიმართებაში სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვონ, მაგრამ ეს უპირატესობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გარანტირებული ჰქონდეთ მეორე მხარის დამარცხება. ამიტომ, ყველა ეს მხარე სიტუაციის აქამდე მიყვანისგან თავს შეიკავებს. იქნება პერიფერიული დაძაბულობები, ისეთი როგორიც სირიაშია და ბევრგან სხვაგან, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. ამ რამდენიმე წლის წინათ მქონდა შესაძლებლობა, გამოვსულიყავი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც ნატოს ეგიდით ტარდებოდა. ერთ-ერთი მომხსენებელი გახლდით, სადაც სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დინამიკას ვიხილავდი. იქ ღიად ვთქვი — იმის გამო, რომ დაინტერესებული მოთამაშეები ვერ გრძნობენ უპირატესობას, დარჩება გაყინული მანამ, სანამ ასეთი უპირატესობა არ გამოიკვეთება. ცალ-ცალკე არცერთს არ შეუძლია ამ კონფლიქტების მოხსნა, ერთმანეთს არ დაეხმარებიან გადაწყვეტაში და რეალურად გვამყოფებენ იმ სიტუაციაში, რომელშიც ვართ. თავად ჩვენ, არც საქართველოს, არც სომხეთს და არც აზერბაიჯანს ამაზე ზემოქმედება არ შეგვიძლია. ეს ვითარება დიდი ანგარიშით დღემდე არ შეცვლილა.

**— რაც, პრინციპში, საქართველოსთვის ცუდი არ უნდა იყოს, რადგან, როგორც თავად თქვით, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას აქვს დრო, რაღაცები შეცვალოს, რაღაცებზე ყურადღება მეტად გაამახვილოს იმის ხარჯზე, რომ არ იქნება კონფლიქტი...**

— დრო ძლიერს ასუსტებს და სუსტს აძლიერებს, რა თქმა უნდა, თუ სუსტს ამის ნებისყოფა და უნარი აღმოაჩნდა.

**— საქართველოს ხელისუფლება ფიქრობს, რომ მის სამხედრო ძალებს სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“ გააძლიერებს. მას მასშტაბურს უწოდებენ. მასში მონაწილე ქვეყნების, სამხედრო ტექნიკისა თუ პირადი შემადგენლობის თვალსაზრისით შეიძლება, ეწოდოს მასშტაბური. როგორც პროფესიონალი, ამ სწავლებას როგორ შეაფასებდით?**

— ნებისმიერი სამხედრო სწავლება კარგია, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა, შეიარაღებულმა ძალებმა მშვიდობის პერიოდში მიიღოს გამოცდილება, რომელიც მათ შეიძლება, გამოიყენონ. სწავლება გამორჩეულად მასშტაბურია თუ შევადარებთ 2003 წლის პერიოდს და განსხვავდება ამ სამი წლის წინათ ჩატარებული სწავლებისაგან. თუმცა საქართველოში 2001 წელს ნატოს ეგიდით ჩატარდა სწავლება, რომელშიც ნატოს 9 წევრი და 6 პარტნიორი ქვეყანა მონაწილეობდა. დაახლოებით 4 000 იყო ადამიანური რესურსი, 38 სამხედრო გემი და 11 სახელმწიფოს ავიაცია. სწავლება მიმდინარეობდა ბუნებრივი კატასტროფების ფონზე. 2002 წელს გამართულ წვრთნებში ნატოს 6 ქვეყანა მონაწილეობდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ეს მასშტაბური სწავლებაა და თუ ტენდენციის ხასიათს მიიღებს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება. სწავლებებს დადებითად ვაფასებ, თუმცა, რა თქმა უნდა, რაიმე მყისიერი მოლოდინი, არ უნდა გვქონდეს. სამხედრო საქმიანობა განსაკუთრებული სპეციფიკის მქონე საქმიანობაა და გამოცდილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გამოცდილება კი წლებით მოდის.

**— მაიკ პენსმა საქართველოში ასეთი სიტყვები დატოვა: „ამერიკა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სწრაფვას ნატოში. ჩვენ გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას პრემიერთან...“**

— ეს ამერიკის ახალი პოლიტიკა არ არის. ჯერ კიდევ 40-იან წლებში განიხილა კონგრესმა საქართველოს საკითხი. მაშინ საქართველო ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოკუპაციის ობიექტი და იქიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკა არ შეუცვლია. ეს დამაიმედებელია. დღეს რაღაცა არ შეგვიძლია, ხვალ კი აუცილებლად შევძლებთ. ყოველ შემთხვევაში, სანამ საერთაშორისო სამართალი იარსებებს, ყოველთვის გვექნება ჩვენს საერთაშორისო საზღვრებში დაბრუნების შანსი.

**რადიო „თავისუფლება“**

## ნატო აფხაზეთში პუტინის ვიზიტს გამოეხმაურა



**ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის გამო ნატო მწუხარებას გამოთქვამს და მიიჩნევს, რომ მსგავსი ვიზიტები კონფლიქტის დარეგულირების ძალისხმევას ხელს უშლის. საგანგებო განცხადება ალიანსის ოფიციალური წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა დილან უაითმა გააკეთა.**

**„ვლადიმერ პუტინის ვიზიტი საქართველოს რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის მეცხრე წლისთავზე ზიანს აყენებს საერთაშორისო ძალისხმევას, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს“, — განაცხადა უაითმა.**

## კიევში აღლუმზე ქართველი სამხედროებიც გამოვლენ

**ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმში მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღლუმს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორიაც დაესწრება. სამხედრო აღლუმი კიევში 24 აგვისტოს გაიმართება და მასში ბრიტანელი, ლატვიელი და ლიტველი სამხედრო მოსამსახურეებიც მიიღებენ მონაწილეობას.**


EPA/UPG

# მარშალი იაზოვი: სიმართლე და სიცრუე სტალინზე

## ინტერვიუ მარშალ დიმიტრი იაზოვთან

*„საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს,*

*პატივცემულო რედაქტორო, თქვენმა უთუოდ საყურადღებო პუბლიკაციამ „ცილდაწამებულმა გენერალისიმუსმა“ გამახსენა ერთ-ერთი ჩემი შეხვედრა მარშალ დიმიტრი იაზოვთან, რომლის შეხედულებებიც იოსებ სტალინზე, ერთ-ერთ რუსულ საიტზე დიალოგის სახით არის გამოქვეყნებული. ეს ინტერვიუ უეჭველად გარკვეულ ინტერესს აღძრავს ქართველ მკითხველში და თანაც ბუნებრივად ერწყმის თქვენი პუბლიკაციის არქიტექტონიკას — ვიგონებთ ერთად.*

სსრკ უკანასკნელი თავდაცვის მინისტრი. თავის დროზე — დაახლოებული გორბაჩოვთან, სარდლობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს. შემდგომ მონაწილეობა მიიღო ე.წ. „გე-კა-ჩე-პე“-პუტჩში, იჯდა ციხეში...

გარდა იმისა, რომ ეს ინტერვიუ ფაქტობრივი მასალით და პოზიციით არის ძალიან საინტერესო(!) ზოგადად, კონკრეტულად კი უახლესი ისტორიის მკვლევარებისთვის და ეპოქით დაინტერესებული ჟურნალისტებისთვის, ახალთაობისთვისაც არ იქნება უსარგებლო მასალის გაცნობა, ბოლოს და ბოლოს გეცოდინებათ, რომ არსებობს სხვა აზრიც, განსხვავებული იმისგან, რასაც ჩაგვჩიჩინებენ „მავანნი“...

პუბლიკაციისთვის მაქვს პირადი მოტივაციაც. ჰოდა, გავიხსენებ:

...სამხედრო პოლიგონზე წვრთნებმა დავით გარეჯის კომპლექსზე გამანადგურებელ პიკს მიაღწია 80-იანი წლების ბოლოს.

საგარეჯოს იმდროინდელმა ხელმძღვანელმა, ლეგენდარულმა ქალბატონმა მედიკო მეზვრიშვილმა მიაღწია იმას, რომ თავის მიერ აღდგენილ „გარეჯობის“ დღესასწაულზე, 1978 წლის ზაფხულში მოსკოვიდან სტუმრად „ჩამოიყვანა“ მაშინდელი სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი.

ქართველმა მარშალმა, რომელსაც სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი „სვიტა“ ახლდა, საჯაროდ აღუთქვა მასპინძლებს, რომ ყველაფერს იზამდა იმისთვის, რომ პოლიგონი გაუქმებულიყო. ქართველმა პატრიოტმა და გამორჩეულმა ინტელიგენტმა (რაც არ უნდა ვინმეს მარშლის მისამართით გამოთქმული ეს ეპითეტი გაუკვირდეს ეს) სიტყვა შეასრულა და „პროცესი“ რეალურად დაიძრა. მაგრამ... სამწუხაროდ, ბატონ არჩილს არ დასცალდა. უკურნებელი სენი შეეყარა და რამდენიმე ხანში გარდაიცვალა...

ამასობაში დროც შეიცვალა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას (გარეჯის პრობლემით ისედაც შეწუხებულს) მოსვენებას არ აძლევდნენ არც მედეა მეზვრიშვილი და არც გააქტიურებული ეროვნული მოძრაობა, დედაუნივერსიტეტის „პრესკლუბი“, მწერლობა... საქმე კი მიდიოდა თითქოს წინ, მაგრამ კუს ნაბიჯით და...

შევარდნაძე პატიაშვილმა შეცვალა და მისთვისაც უკვე პრესტიჟის საკითხად გადაიქცა ამ პრობლემის გადაწყვეტა. ერთი სიტყვით, მან მიაღწია იმას, რომ 1988 წლის მეორე ნახევარში მარშალი იაზოვი თავის გენერლებიანად გარეჯში აღმოჩნდა და ადგილზე იქნა განხილული რეალური მდგომარეობა.

ამ შეხვედრის პერიპეტიები იმდენად საინტერესოა, რომ მას ცალკე პუბლიკაცია უნდა მიეძღვნას. მთავარი ის არის, რომ ნაღდი ქართველი კაცის არჩილ გელოვანის დაწყებული და იმ დროისთვის რეალურად დაკონსერვებული საქმე მარშალმა იაზოვმა გააცოცხლა.

ბუნებრივია, იმ დღეს, რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელებთან ერთად, მასთან ჩემი კონტაქტიც შედგა და რაღაც მომენტში მისგან „კომპლიმენტიც“ დავიმსახურე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ ეს „წამიერი“ ურთიერთობა მისთვისაც დასამახსოვრებელი გახდებოდა.

სულ ცოტა ხანი გავიდა ამ შეხვედრიდან და ორიოდე თვის შემდეგ, 26(?) ნოემბერს, გაგანია კრიზისის დროს, რომელიც ცნობილია, როგორც „ედპ-ეს ნოემბრის მასობრივი შიმშილობა“, უცებ მეუბნებიან, რომ თბილისს, მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ეწვია იმდროინდელი სსრკ „სამხრეთის მიმართულების (ფრონტის) სარდალი, არმიის გენერალი პავლოვი, რომელიც დაუყონებლივ ითხოვს ჩემთან შეხვედრას...

რესპუბლიკის მაშინდელი მთავარი „ტრიუმვირატი“ მოსკოვში იმყოფება, აქაურობა მე მაქვს „ჩაბარებული“. პატიაშვილს ვერა და ვერ ვუკავშირდები და ვიდრე ამ „დაუპატიჟებელ“ სტუმარ-რევიზორს შევხვდებოდი, გადავწყვიტე მინისტრთან, მარშალ იაზოვთან დაკავშირება.

...დაუყოვნებლივ შემაერთეს და როგორც კი ჩემი თავი წარვუდგინე უმალ პასუხი: შენ ის არ ხარ სტუდენტობის გამოსვლით რომ მაშინებდიო და გულიანად გაიცინა. საუბარმა თბილი ინტონაცია შეიძინა და როგორც კი დაწვრილებით ავუხსენი მდგომარეობის სირთულე და ის სავარაუდო რეაქცია, რაც გენერალ პავლოვის გამოჩენას მოჰყვებოდა, ჩემდა მოულოდნელად, მარშალმა „დავალება“ მომცა: სულ კინწისკვრით გააგდე ეგ არამკითხე მოამბე შენი კაბინეტიდანო და გულიანად შეიკურთხა.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გენერალი პავლოვი მინისტრთან შეუთანხმებლად ჩამოფრინდა თბილისში. ამ მოვლენებზეც ცალკე მომიწევს მოგონებების გამოქვეყნება, ახლა მთავარი იაზოვის „გონიერება“, მისი რეაქცია და შედეგია: პავლოვის მოკლე „ვიზიტი“ მისთვის უსიამოდ და ოპერატულადვე დამთავრდა და ცეკას შენობიდან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ისევ თავის თვითმფრინავს მიაშურა...

იაზოვთან მესამე შეხვედრა კი მოულოდნელი სიურპრიზით დამიგვირგვინდა. ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფედერაციას (სადაც ვიცე-პრეზიდენტად ვმუშაობდი) ტრანსპორტის პრობლემა გაუჩნდა და ერთმა ბრძენმა კაცმა, რომელმაც ჩემგან ზემოთქმული „ისტორიები“ იცოდა, მირჩია: ახლა ყველაზე მდიდარი და გულუხვი სისტემა თავდაცვის სამინისტროა და მიდი პირდაპირ, სთხოვე შეხვედრა, ზედ თქვენი კონფედერაციის „გასაჭირიც“ მოუყევი და დახმარება „შეღაღადეო“. დავიჯერე. მისივე თანაშემწის მეოხებით შევატყობინე ვიზიტის სურვილთან ერთად კოორდინატებიც და... მეორე დილით ზარი მთავრობის ტელეფონზე. მინისტრმა თავად დამირეკა და მითხრა, თუ გაქვს საშუალება, ახლავე მოდიო... რა გამაჩერებდა. ელვის სისწრაფით გავქანდი. ადიუტანტი დამხვდა და ლამის ხელისგულზე დაბრძანებული ამაფრინეს მინისტრთან.

აღარ შევუდგები დეტალების გახსენებას. და როცა კონფედერაციისთვის ხუთი ახალი „გაზ-31“-ის გამოყოფის განკარგულება გასცა და თავი ქუდში დავიგულე, მადლობა არ დავიშურე და ერთობ ნასიამოვნებმა გამომშვიდობება მოვინდომე.

კი მაგრამ, შენთვის არაფერი გინდა, ახლად გადმოსახლებული ხარ მოსკოვშიო, მკითხა მინისტრმა. ვუპასუხე, არც მე ვიტყოდი უარს ახალ „ვოლგაზე“, მაგრამ არც ისეთი თავხედი ვარ, კონფედერაციისთვის გამოყოფილი 5 მანქანის შემდეგ ეგეც რომ გთხოვოთ-მეთქი... იქვე, რაღაც გამეხუმრა, თანაშემწეს ჩემი ზუსტი კოორდინატების ჩაწერა უბრძანა და... წამოვედი.

მეორე დილით, სწორედ ის თანაშემწე მეწვია, დოკუმენტების პაკეტი გადმომცა და... ჩემს პირად(!) საკუთრებაში აღმოჩნდა ახალი მანქანა, როგორც უახლოეს წარსულში ერთ-ერთი დიდი სამხედრო გაერთიანების სამხედრო საბჭოს ყოფილ წევრს“, სერიოზული შეღავათით გადამახდევინეს მანქანის საფასური.

მიდი და დაივიწყე ახლა ეს სიკეთე.

ასე კაცები იქცევიან.

ყველა მარშალი არა, მაგრამ... ნამდვილები, ნაომარნი — კი!

რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ მისი.

მადლობა ამხანაგ სტალინსაც (!), რომელმაც მოგვცა საბაბი მარშალ იაზოვს და მე, გაგვეხსენებინა... წარსულის ეს „ფურცლები“.



**ნუგზარ ფოფხაძე,**

აქვე გთავაზობთ მარშლის ინტერვიუს.



**კორ: — ამ ცოტა ხნის წინათ კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა წინადადება წამოაყენა, დანაშაულებრივად ეცნოთ გორბაჩოვისა და ელცინის მოღვაწეობა. ცუდი არ იქნებოდა, მათთვის დაემატებინათ „ძვირფასი“ ნიკიტა სერგეევიჩიც. შესაფერისი საბაბიც არის: 60 წელი შესრულდა იმ „ისტორიული“ მოხსენებიდან, რასაც ნიკოლო სტარიკოვმა „სიცრუისა და ჭორის კრებული“ უწოდა, ამერიკელმა ისტორიკოსმა გრავერ ფერმა კი — „ანტისტალინური სიმდაბლე“.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — დაუკვირდით, როცა კირკიტა ხრუშჩოვის მოხსენების ამერიკულ ანალიზს შეუდგა, პირველივე შეუსაბამობას წააწყდა თუ არა, ფრთხილი დასკვნა გააკეთა: „დანაშაულებრივი თაღლითობა?“ ჯერჯერობით კითხვის ნიშნით. სამუშაოს ბოლოს მას უკვე აღარ დარჩა ეჭვები. „დახურული მოხსენების“ ყველა მტკიცებიდან, სტალინს ან ბერიას რომ „ამხილებდნენ“, სიმართლის ნატამალიც აღარ დარჩა. ჩვენში ამ თემაზე გამოჩნდა ბევრი პატიოსანი, სერიოზული გამოკვლევა. მხედველობაში მაქვს არსენ მარტიროსიანის, იური ჟუკოვის, ელენა პრუდნიკოვას, იმავე ნიკოლო სტარიკოვის წიგნები. შენ ოღონდ სიმართლის მოსმენა მოინდომე!

**კორ: — მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს ოპონენტებს სიმართლე არ სურთ. ოღონდ სიავე ცოტათი ჩამოეფერთხათ. ამას წინათ სატელევიზიო გადაცემაში „საიუბილეო მოხსენების“ განხილვისას, ანტისტალინელებს ღირსეული პასუხი გასცეს ნიკოლაი სტარიკოვმა, კარენ შახნაზაროვმა, სერგეი შარგუნოვმა. მე ვიცი, რომ 1956 წელს თქვენ ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ბოლო კურსზე სწავლობდით, თქვენს კოლექტივში როგორ მიიღეს ხრუშჩოვის „გულახდილობა“?**

**ლ.ტ. იაზოვი:** — ჩვენთვის, გუშინდელი ფრონტელებისთვის, სტალინის სახელი, შეიძლება თქმა, წმიდათაწმიდა იყო. იმ დღეებში მარშალმა როკოსოვსკიმ სწორედ ასე თქვა: ჩემთვის ამხანაგი სტალინი წმინდანი იყოო. უმაღლესი მთავარსარდლის სამხედრო ავტორიტეტი შეურყეველი იყო.

მეტსაც გეტყვით: ყველაფერს, რაც კარგი იყო ჩვენს ცხოვრებაში, მის სახელს ვუკავშირებდით. ომის დროს ჩვენი გრძნობა კარგად გამოხატა კონსტანტინე სიმონოვმა ცნობილ ლექსში: „ამხანაგო სტალინ, გესმის თუ არა ჩვენი?“ იქ არის ასეთი სტრიქონები: „არა დედას, არა შვილს — ამ მრისხანე ჟამს შენ გიხსენებთ უპირველესად“. ჰოდა, თქვენ განსაჯეთ, როგორ უნდა აღგვეთქვა თავზე დამტყდარი ნაკადი ყველაზე ფანტასტიკური ბრალდებებისა. ალბათ, ყველაზე პირველი შეგრძნება იყო შოკი, რაღაც წარმოუდგენელი უსამართლობის გრძნობა. მასწავლებელი, რომელიც მოხსენებას გვაცნობდა, ტიროდა. იმ დროს აკადემიის უფროსი იყო პავლე კუროჩკინი — არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი, გამოჩენილი მხედართმთავარი. მან მაშინ თქვა — ამხანაგი სტალინი იყო დიდი ბელადი და გენიალური უმაღლესი მთავარსარდალი და ასეთად დარჩება ჩვენთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გასაგებია, ამას ამბობს სამხედრო კაცი. მისი აზრი — პატიოსანი და გაბედული — ადვილად ასახსნელია, მაგრამ აი, კიდევ ერთი ადამიანის შეხედულება, რომელიც 30-იან წლებში რეპრესირებული იყო და ბოლომდე შესვა სამსალა. მოიარა სამი გადასახლება, მათგან ერთი, როგორც სტალინმა — ტუროხანსკის მხარეში. ვლაპარაკობ **ვალენტინ ვოინოიასენცკიზე**, სიმფეროპოლისა და ყირიმის ყოფილ არქიეპისკოპოსზე, ცნობილ ქირურგზე. ომის დროს იგი ღმერთის სამსახურს ევაკოჰოსპიტალში მუშაობას უხამებდა. დაწერა რამდენიმე სერიოზული სტატია, მათ შორის ჩირქოვან ქირურგიაზე, რისთვისაც სტალინური პრემია მიენიჭა. სპეციალისტები ამბობენ, რომ მის შრომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

არ ვიცი, იცნობდა თუ არა ის ყბადაღებულ მოხსენებას, მაგრამ მისი აზრები პირდაპირ საწინააღმდეგოა ხრუშჩოვისეულისა: „სტალინმა შეინარჩუნა რუსეთი, უჩვენა, თუ რას ნიშნავს ის მსოფლიოსთვის. ამიტომ მე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი და რუსი პატრიოტი, მდაბლად ვუხრი თავს სტალინს. სტალინი ღვთივბოძებული ბელადია“. და ეს არის შეფასება ადამიანისა, რომელიც წმინდანად არის შერაცხილი.

აი, მოსაზრება მეორე რელიგიური მოღვაწისა — სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ იოანესი: **სტალინი ღმერთმა მოგვცა, მან ისეთი სახელმწიფო შექმნა, რომელსაც რა ხანია, ანგრევენ, მაგრამ ბოლომდე ვერ დაანგრიეს.**

იხ. 6 გვ.

# მარშალი იაზოვი: სიმართლე და სიცრუე სტალინზე

(მეხუთე გვერდიდან)

**ისე, რომ თუ სტალინს საღვთო კუთხიდან შევხედავთ, იგი უდავოდ განსაკუთრებული ადამიანი იყო. ღვთივბოძებული, ღვთივდაცული“.**

**კორ:– იქნებ ათეისტი ხრუშჩოვი ამიტომაც ასე ესხმოდა ბელადს და მასთან ერთად მთელ მართლმადიდებელ ეკლესიას. ამბობენ, რომ მისი მითითებით უფრო მეტი ტაძარი დაანგრიეს, ვიდრე ყველაზე ღვთისმებრძოლობის ჟამსო.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — ეს ხომ მართლაც იოლი შესამოწმებელია. ხრუშჩოვის „ჯვაროსნული“ ლაშქრობა ეკლესიის წინააღმდეგ ცოცხალი ადამიანების თვალწინ ხდებოდა.

**კორ: — რამაც ჩვენს ლიბერალებს ხელი არ შეუშალა, ეს ცოდვაც იოსებ ბესარიონის ძისთვის აეკიდათ...**

**ლ.ტ. იაზოვი:** — ეს ან უვიცობაა, ან ბოროტგანზრახულობა. მაგალითად, ცნობილია სტალინის 1933 წლის წერილი **მენჟინსკისადმი.** მოკლე ამონაწერს მოვიყვან: **„ცკ შეუძლებლად მიიჩნევს ახალმშენებლობათა პროექტირებას ეკლესიებისა და ტაძრების დანგრევის ხარჯზე, რომლებიც ძველრუსული ხუროთმოძღვრების, არქიტექტურის ძეგლებია“.** დაახლოებით იმ დროს მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის რეპერტუარიდან მოიხსნა ანტირელიგიური კომიკური ოპერა **„დევგმირები“,** რაც, რა თქმა უნდა, სტალინის ჩაურევლად არ მომხდარა. დასაბუთებაში ნათქვამი იყო, რომ ოპერა **„იძლევა რუსეთის ქრისტიანულად მოქცევის ანტიისტორიულ და დამცინავ აღწერას, გაქრისტიანებას, რაც სინამდვილეში დადებითი ეტაპი იყო რუსი ხალხის ისტორიაში“.**

**კიდევ ფაქტი.** სტალინმა **ხელი** მოაწერა ცკ-ის პოლიტბიუროს 1939 წლის გადაწყვეტილებას, რომელშიც ნათქვამია: **„მომავალში არასასურველად იქნეს მიჩნეული სსრკ შსსკ-ის ორგანოების პრაქტიკა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა დაპატიმრების, მორწმუნეთა დევნის თვალსაზრისით“.**

ომის დროს საბჭოთა კავშირში გაიხსნა 22 ათასი ეკლესია. სტალინის დახმარებაზე ეკლესიისა და მორწმუნეთა მიმართ არსებობს მრავალი დოკუმენტურად დამოწმებული მტკიცებულება.

**კორ: — წაკითხული მაქვს, რომ სტალინის 1936 წლის კონსტიტუციამ ღვთისმსახურებას საარჩევნო უფლება დაუბრუნა, მორწმუნეებმა კი მიიღეს ჯვრისწერის, ბავშვების მონათვლის, აღდგომის ზეიმობის უფლება. თვითონ თქვენ პირადად რითი ხართ სტალინის მადლობელი?**

**ლ.ტ. იაზოვი:** — არა მარტო მე, არამედ ჩემი თანატოლების უმეტესობა სტალინის მადლობლები ვართ იმისთვის, რასაც მივაღწიეთ. სოციალიზმმა, რომელიც მანააშენა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, მილიონობით ჩემნაირს მისცა განათლება, პროფესია, თავის საქმეში სრულყოფის შესაძლებლობა. რომელ სხვა ქვეყანაში შეუძლია ციმბირის მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულ ბიჭს მარშალი გამხდარიყო? ჩვენს ოჯახში 10 ბავშვი ვიყავით. დედამ თითქმის მარტოხელამ დაგვაყენა ფეხზე. მამა ადრე გარდაიცვალა, მოგვიანებით მამინაცვალიც დაიღუპა დიდ სამამულო ომში. ყველანი გაგვზარდა, გზა გაგვიწალდა.

**კორ: — მსგავსი ვითარება იყო ყოფილი დისიდენტის, ცნობილი ფილოსოფოსის ალექსანდრე ზინოვიევის გლეხურ ოჯახშიც. 11 და-ძმანი იყვნენ. ყველა, როგორც იტყვიან, „ხალხში გამოვიდა“: „ერთი პროფესორი გახდა, მეორე — ქარხნის დირექტორი, მესამე — პოლკოვნიკი და ა.შ. „ამ ეპოქაში — წერს ზინოვიევი — ხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო აღმასვლა მრავალი მილიონი ადამიანისა საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენიდან ოსტატამდე, ინჟინრამდე, მასწავლებლამდე, ექიმამდე, არტისტამდე, ოფიცრამდე, მეცნიერამდე, მწერლამდე, დირექტორამდე“.**

იგი მიდის დასკვნამდე, რომ სტალინის დროს **„იყო ჭეშმარიტი სახალხო მმართველობა... თვითონ სტალინი კი — ნამდვილი სახალხო ბელადი“.** ამიტომ იყო, რომ ზინოვიევის დედა, უბრალო გლეხი ქალი, მთელი ცხოვრების მანძილზე ინახავდა სტალინის პორტრეტს ბიბლიაში“.

**ლ.ტ. იაზოვი:** — ახლა ქილიკობენ სტალინზე — **„ხალხთა მამაო“.** ის სწორედაც იყო ხალხისთვის მამის მსგავსი. ხალხის ამ სიღრმისეულ კავშირს თავის ბელადთან ადამიანები დღემდე გრძნობენ, ამიტომაც აძლევენ მას ხმას, წერენ ხატებს და დგამენ ძეგლებს კოლოსალური წინააღმდეგობის მიუხედავად.

ხალხი მისტირის ქვეყნის ოდინდელ ძლიერებას, სტალინის დროს მოპოვებულ გამარჯვებებს, სამართლიანობას, რომელიც მაშინ სუფევდა. ვიღაცამ ამ სახალხო მდგომარეობას **„უმამობისას მამის ძიება“** უწოდა. უფრო ზუსტად ვერ იტყვი!



**კორ: — თითქმის ყველა ჩვენი მხედართმთავარი გლეხის, მრავალშვილიანი ოჯახის შვილი იყო: ჟუკოვიც, კონევიც, ჩერნიაკოვსკიც, ჩუიკოვიც და მრავალი სხვაც. ჩუიკოვის მშობლებს, მაგალითად, 12 შვილი ჰყავდათ. 1945 წელს, გებელსმა საბჭოთა მხედართმთავრების ფოტოების თვალიერებისას აღიარა: მათ სახეებზე აწერიათ, რომ ისინი ხარისხიანი ხისგან არიან გამოთლილიო. მიდიხარ სამწუხარო დასკვნამდე, რომ კლასობრივად ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის სამეთაურო ნაწილი უკეთესია, ვიდრე ჩვენიო...**

**ლ.ტ. იაზოვი:** — იძულებული ვარ, გავიმეორო, რომ ესეც იოსებ ბესარიონის ძის მზრუნველობის შედეგი იყო. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო კადრების მომზადებას. ქვეყანაში მოქმედებდა ათობით სამხედრო სასწავლებელი, რამდენიმე აკადემია, გენერალური შტაბის აკადემია, ერთხელ დაინტერესდა, რას ასწავლიან მომავალ მხედართმთავრებსო, ბელადმა აღმოაჩინა, რომ სასწავლო პროცესის მესამედი პოლიტგანათლებას ეთმობა. ასეთი იყო ტრადიცია. სტალინმა საკუთარი ხელით ამოშალა ეს განყოფილება და განკარგულება გასცა წარმოქმნილი პრობლემა შეევსოთ სამხედრო დისციპლინებით. იოსებ ბესარიონის ძისთვის საქმისადმი ასეთი მიდგომა ტიპური იყო. არმია **„უნდა გიყვარდეს და ეფერო“,** — ამბობდა ის. სტალინის დროს არმიას ასეც ექცეოდნენ. უმაღლესი მთავარსარდალი ყურადღებიანი და მზრუნველი იყო თავისი ხელქვეითების მიმართ. ამას საუკეთესოდ გვიჩვენებს გენერალ ვოლსკის ისტორია.

**კორ: — ზოგიერთ ავტორს, ვინც ომზე წერს, მიაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა საერთოდ არ შეიძლება მომხდარიყო.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — შემთხვევა მართლაც არ არის ორდინარული. ის საკმაოდ დაწვრილებით აქვს ნაამბობი ალექსანდრ მიხაილოვიჩ ვასილევსკის, მაშინ გენერალური შტაბის უფროსს და მთავარბანაკის წარმომადგენელს სტალინგრადის ფრონტზე. მზადდებოდა ჩვენი კონტრშეტევა. განისაზღვრა დრო 19 ნოემბერი და უცებ, 17-ში საღამოს, სტალინმა ვასილევსკი მოსკოვში გამოიძახა და გააცნო მე-4 მექანიზებული კორპუსის მეთაურის გენერალ ვოლსკის წერილი. უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს კორპუსი უნდა ყოფილიყო ფრონტის მთავარი დამრტყმელი ძალა. წერილი დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: **„ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ, რომ მე არ მჯერა დაგეგმილი შეტევის წარმატების. ჩვენ არ გვაქვს საამისოდ საჭირო ძალა და საშუალებები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ გერმანელთა თავდაცვის გარღვევას და ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანის შესრულებას. მთელი ეს ოპერაცია შეიძლება დამთავრდეს კატასტროფით“.**

**კორ: — როგორი რწმენა უნდა გქონდეს შენი მთავარსარდლისა, რომ ასეთ უდროო დროს გაუზიარო შენი ეჭვები. რეაქცია შეიძლება უსასტიკესი ყოფილიყო.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — სინამდვილეში აი რა მოხდა. სტალინი დაინტერესდა რა კაცი იყო ამ შემაშფოთებელი წერილის ავტორი. როცა შესანიშნავი დახასიათება მიიღო, ვოლსკისთან შეერთება ითხოვა. ვასილევსკის სიტყვებით სტალინმა მას უთხრა: „მე ვფიქრობ, რომ თქვენ არასწორად აფასებთ ჩვენს და თქვენს შესაძლებლობებს. მჯერა, რომ თქვენ შეძლებთ დაკისრებული ამოცანების შესრულებას და ყველაფერს გააკეთებთ, რომ თქვენმა კორპუსმა შეასრულოს თავისი ამოცანა. მზად ხართ, რომ ყველაფერი გააკეთოთ, რაც თქვენზეა დამოკიდებული და შეასრულოთ თქვენს წინაშე მდგარი ამოცანები?“

როცა დადებითი პასუხი მიიღო, მან მშვიდად დაასრულა: „მჯერა, რომ შეასრულებთ თქვენს ამოცანას, ამხანაგო ვოლსკი. წარმატებას გისურვებთ“.

ოპერაცია წარმატებით განვითარდა. ვოლსკი მამაცურად და გამოზომილად მოქმედებდა. ამოცანა შეასრულა. როცა ვასილევსკი სტალინს ვითარებას მოახსენებდა, იგი შეეკითხა, როგორ მოქმედებდა ვოლსკი და მისი კორპუსიო, როცა უპასუხეს, შესანიშნავადო, თქვა: **„აი რა, ამხანაგო ვასილევსკი, თუ ასეა, გთხოვთ, იქ ფრონტზე გამონახეთ რამე და ვოლსკი ჩემი სახელით დააჯილდოვეთ. გადაეცით მას ჩემი მადლობა და მიახვედრეთ, რომ სხვა ჯილდოები წინაა“.**

ვასილევსკის ნადავლი გერმანული **„ვალტერი“** ჰქონდა, მას ფირფიტა მიამაგრეს სათანადო წარწერით და ვასილევსკიმ კორპუსის მეთაურს სტალინის სიტყვები და საჩუქარი გადასცა. **„ვიდექით მე და ვოლსკი და ერთმანეთს ვუყურებდით. მას სახეზე მღელვარება ეტყობოდა, იგი ჩემი თანდასწრებით ბავშვივით ატირდა“,** — იგონებდა მოგვიანებით ვასილევსკი.

აი, რას ნიშნავს დროულად შეეშველო ადამიანს, დაეხმარო თავდაჯერების მოპოვებაში, კეთილი სიტყვით გაამხნევო. ასეთი იყო ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი.

არაერთი შემთხვევა იყო, როცა სტალინმა ადამიანი იხსნა მძიმე წუთებში, შევიდა მის მდგომარეობაში, ნდობა გამოუცხადა. ერთ ასეთ შემთხვევაზე ყვება გენშტაბის კომისარი **ფ.ე. ბოკოვი.**1943 წ. იანვარში იგი უმაღლეს მთავარსარდალს დოკუმენტებს აცნობდა, მათ შორის აღმოჩნდა სამხრეთის ფრონტის სარდლის **ერიომენკოს** და სამხედრო საბჭოს წევრის **ხრუშჩოვის** ხელმოწერილი მიწერილობა. ისინი მოითხოვდნენ მე-4 გვარდიელი მექანიზებული კორპუსის მეთაურის გენერალ **ტანასჩიშინის** თანამდებობიდან გათავისუფლებას. მას ძალაუფლების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ.

— ეს რომელი ტანასჩიშინია? — იკითხა სტალინმა, — ადრე კავალერისტი რომ იყო?

— დიახ, ტროფიმ ივანოვიჩი.

— მე მას კარგად ვიცნობ, მეომარი მჩეხავია. როგორ იბრძვის მისი კორპუსი?

— ძალიან კარგად. ტანასჩიშინის ხელში გვარდიელი გახდა.

სტალინმა დააზუსტა, კონკრეტულად რაში ედებოდა ბრალი და შეაჯამა. მას პირადი მოტივი არ ჰქონია. ასე საბრძოლო დავალების შესრულებისათვის მოიქცა, მაგრამ „გადაამეტა“ და გამოიტანა გადაწყვეტილება: **„არ მოვხსნით, გადაეცით ერიომენკოს და ხრუშჩოვს, რომ სტალინი ტანასჩიშინს თავდებობს“.** ერიომენკოს და ხრუშჩოვს ისღა დარჩენოდა, გაემეორებინათ, თავდებობს და თავდებობსო.

**კორ: — დიმიტრი ტიმოფეევიჩ, მე ამის მსგავსი ამბავი შემხვედრია ავიაციის მთავარი მარშლის ალექსანდრ გოლოვანოვის მემუარებში. იქ ფიგურირებს მფრინავი გამომცდელი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა საბრძოლო ჯილდოს — საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავის მისაღებად. მიიღო, მეგობრებთან აღნიშნა და გვიან ღამით შინ რომ ბრუნდებოდა, ქალის კივილი მოესმა და დასახმარებლად გაიქცა. უცნობ ქალიშვილს სოლიდური მამაკაცი ებღლაძუნებოდა, შერკინებისას მფრინავმა მოძალადე მიახვრიტა. იგი რომელიღაც სახკომის პასუხისმგებელი მუშაკი გამოდგა. მოახსენეს სტალინს. მომხდარის გარჩევისას მან იკითხა, რა შეიძლება გაკეთდეს კანონის თანახმადო? სასამართლომდე გმირი შეიძლება თავდებობით გამოვიყვანოთო... სტალინმა განცხადება დაწერა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე თხოვნით, რომ მებრძოლი მფრინავი მისი თავდებობით გაეშვათ. ასეც მოხდა. მფრინავი ფრონტზე დაბრუნდა, მამაცურად იბრძოლა და ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში დაიღუპა.**

ამ ამბის თხრობისას გოლოვანოვი, რომელიც კარგად იცნობდა სტალინს, აღნიშნავს: **„სამუშაოზე მკაცრი მოთხოვნა და იმავდროულად ადამიანზე ზრუნვა მისთვის განუყოფელი იყო, გრძნობდით, რომ გელაპარაკება არა კაცთა ბედის გამგებელი, არამედ უბრალოდ ადამიანი“.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — თქვენ მკითხეთ, როგორ შეძლეს ჩვენმა მხედართმთავრებმა, ეჯობნათ გერმანელებისთვისო. ისინი აღზარდა, აღამაღლა თვით ატმოსფერომ, რომელიც არმიაში იყო შექმნილი სტალინის დროს. არტილერიის მთავარი მარშალი ნიკოლაი დიმიტრიევიჩ იაკოვლევი შენიშნავს: სტალინს ჰქონდა შესანატრი მოთმინება, ეთანხმებოდა გონივრულ არგუმენტებს, მაგრამ, როცა განხილულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღებოდა, ეს საბოლოო იყო... მთავარ ბანაკში მუშაობა გამოირჩეოდა უბრალოებით, დიდი ინტელიგენტურობით. არავითარი „დაყენებული“ სიტყვები, აწეული ტონი, ყველა საუბარი — ნახევარი ხმით.

არ უყვარდა, როცა მის წინ ყინჩად იჭიმებოდნენ, ვერ იტანდა **„მარშით“ შემოსვლას და გასვლას“.**

# ისტორიის „ქართული“ ქარი

მთელი სიმკაცრის მიუხედავად, სტალინი ჩვენ გვიტარებდა შემწყნარებლობის გაკვეთილებს, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ასეთი შემთხვევა, ერთხელ რამდენიმე სამხედრო შევყოვნდით უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში. უცებ შემოდის პოსკრებიშევი და მოახსენებს ესა და ეს გენერალი მოვიდაო. შემოვიდესო, — თქვა სტალინმა.

როგორი იყო ჩვენი გაოცება, როცა კაბინეტში შემოვიდა გენერალი, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა. იგი მაგიდასთან მივიდა და ხელებით ჩაებღაუჭა კიდეს, მკვდარივით გაფითრებულმა წაიბუტბუტა, რომ ბრძანებისამებრ გამოცხადდა. ჩვენ სუნთქვა შევიკარით, რა რისხვა დაატყდება თავს უბედურსო. მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი უხმოდ მივიდა მასთან და რბილად ჰკითხა:

— თქვენ მგონი ახლა უქეიფოდ ხართ?

— დიახ, — ძლივს თქვა გამშრალი ტუჩებით.

— მაშინ ჩვენ ხვალ შევხვდებით, — თქვა სტალინმა და გენერალი გაუშვა.

როცა მან კარი გაიხურა, სტალინმა ისე, რომ არავისთვის მიუმართავს, თქვა: — ამხანაგმა დღეს ორდენი მიიღო წარმატებით ჩატარებული ოპერაციისთვის, მთავარბანაკში რომ იყო გამოძახებული, ბუნებრივია მან არ იცოდა. ჰოდა, აღნიშნა თავისი ჯილდო, იმაში, რომ ასეთ მდგომარეობაში გამოცხადდა, დიდ დანაშაულს ვერ ვხედავო.

ამ ჭკუის სასწავლი ამბის მოყოლისას იაკოვლევი ამატებს, რომ ბევრ რამეში სტალინის წყალობით ქვეყნის ხელმძღვანელობაში ომის პირველი დღიდან ბოლომდე ურღვევი ერთობა იყო. უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა.

**კორ: — დიმიტრი ტიმოფეევიჩ, შეამჩნიეთ, რომ ჩვენი ლიბერალები კვლავ ატრიალებენ გრამფირფიტას, ჩვენ ომი მოვიგეთ სტალინის სურვილის მიუხედავადო? ჟირინოვსკი პირდაპირ ისტერიკაშია, დაუმტკიცებლის დამტკიცებას ცდილობს.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — ყველაფერი ადვილად ასახსნელია, არჩევნები ახლოვდება, სათათბიროში დარჩენა სურთ. ხალხისთვის წარსადგენი კი არაფერი აქვთ. ჰოდა, ატრიალებენ დიდი ხნის წინათ უარყოფილ ფირფიტებს. ამას წინათ წავიკითხე **ფელიქს ჩუევის** წიგნი ჩვენს გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორ **სერგეი ვლადიმიროვიჩ ილუშინზე**. მას ეკუთვნის სიტყვები: **„სტალინს ჰქონდა კარგი თვისება: მას არ უყვარდა არამზადები და ძალიან უყვარდა რუსეთი, ის პატიოსნებას ედგა მხარში და ზრდიდა საიმედოებს, ამიტომ გავიმარჯვეთ“.**

კორ: — **რუსი გენიოსი ილუშინის სიტყვები „იურისტის შვილის“ ჟირინოვსკის ბოდვების წინააღმდეგ ცუდად არ ჟღერს, სახლში მაქვს წიგნი, სადაც მოყვანილია ინგლისელი გენერლის სიტყვები: „რუსეთმა გამოშიგნა გერმანული არმია. თვითმფრინავი „ილ-2“ მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქირურგიული იარაღი იყო“.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — თქვენ იცით, რომ ამ სახელგანთქმული თვითმფრინავის ბედში გადამწყვეტი როლი იოსებ სტალინმა შეასრულა? არ ვიცი, რა მიზეზი იყო, შეიძლება შური, მაგრამ თვითმფრინავს ალმაცერად უყურებდა ყველა, ვისზეც მისი გამოშვება იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით სამხედროები აქტიურობდნენ. ილუშინი არ ტყდებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ჩემოდანი სავსე ჰქონდა ორცხობილებით (საციხედ ემზადებოდა — **მთარგმ.**). ჩაერია სტალინი, კონსტრუქტორს მანქანა გაუგზავნა და თავისთან მიიყვანა.

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ამხანაგო ილუშინ, ჯერჯერობით ჩემთან იცხოვრეთ, ვფიქრობ, აქ ხელს არავინ შეგიშლით.

კონსტრუქტორმა ბელადთან ერთი კვირა იცხოვრა, მოგვიანებით იგი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა თანამშრომლებს: **„სტალინთან არავითარი ფუფუნება არ არის, სამაგიეროდ, უზარმაზარი რაოდენობის წიგნები აქვს. ყველა კატეგორიის წიგნებით არის სავსე, იგი ღამეში 300-500 გვერდს კითხულობს. ერთად ვიკვებებოდით — შჩი, წიწიბურას ფაფა... რა თქმა უნდა, იმ ერთ კვირაში უკიდურესად გავწვალდი. სტალინის მუშაობის ტემპის გაძლება ძალიან ძნელია...“**

მაგრამ ყველაზე საინტერესო რამ წინ იყო. ერთ დღეს ბელადმა ილუშინი პოლიტბიუროს სხდომაზე მიიყვანა. სტალინის თანამოსაგრეების გარდა ესწრებოდნენ ავიაციის სპეციალისტები. სხვადასხვა მოსაზრების მოსმენის შემდეგ იოსებ ბესარიონის ძემ თქვა: **„ახლა მოისმინეთ, რას ვფიქრობთ ამ საკითხზე მე და ამხანაგი ილუშინი“.**

საბოლოოდ ილუშინის საკონსტრუქტორო ბიურო მოსკოვში დარჩა, ხოლო სერგეი ვლადიმეროვიჩმა და მისმა თანამშრომლებმა შესაძლებლობა მიიღეს თავიანთი საქმე ეკეთებინათ.

**ლ.ტ. იაზოვი:** — სტალინისთვის პირველ ადგილზე ყოველთვის იყო საქმე. და, რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელზეც დამოკიდებული იყო ამ საქმის ბედი. ცნობილია, ერთი ასეთი შემთხვევა: უმაღლესი მხედართმთავარი უკმაყოფილო იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსის მუშაობით. დადგა მისი შეცვლის საკითხი. რეკომენდაციას უწევდნენ ადმირალ ისაკოვს, მაგრამ ეჭვობდნენ, დაამტკიცებდნენ თუ არა მის კანდიდატურას, რადგან ადმირალს ცალი ფეხი ამპუტირებული ჰქონდა. სტალინმა ყველა ეჭვი გაფანტა: **„უმჯობესია, იმუშაო უფეხოსთან, ვიდრე უთავოსთან“.**

**კორ: — თქვენ რა თქმა უნდა, ნახეთ ერთ-ერთი ბოლო სატელევიზიო ორთაბრძოლა, სადაც ხმლები გადააჯვარედინეს რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჟირინოვსკიმ, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხადის შთაბეჭდილებას ახდენდა და მშვიდმა, კორექტულმა, მრავალი ფაქტით აღჭურვილმა ნიკოლაი სტარიკოვმა. ძირითადი დარტყმა, ბუნებრივია, სტალინზე მოდიოდა, მაგრამ მოხვდა მის დამცველ სტარიკოვსაც. მის წინააღმდეგ დაირაზმა არა მარტო ჟირინოვსკის გუნდი, არამედ რაღაც სამეცნიერო ხარისხიანი ე.წ. ექსპერტიც და თვით წამყვანი სოლოვიოვიც. საუბარი შემოაბრუნეს უბოროტეს შინსახკომური დანაშაულობისკენ, ღამღამობით სახლებიდან რომ აქრობდნენ ადამიანებს. შედეგი რა იყო? სტარიკოვს მხარი დაუჭირა 50 ათასმა ტელემაყურებელმა, კოლექტიურ ოპონენტებზე ბევრად მეტმა.**



**ლ.ტ. იაზოვი:**— ალექსანდრე ზინოვიევს უნდა დავუბრუნდეთ, მან სტალინს უწოდა არა მხოლოდ „მე-20 საუკუნის უდიდესი პიროვნება“, „უდიდესი გენია“, არამედ „ყველაზე ჭეშმარიტი და ერთგული მარქსისტი“.

მაგრამ მე მინდა სტალინურ მხედართმთავრებზე საუბარი გავაგრძელო, ნახეთ, რა ბრწყინვალე პლეადა აღზარდა იოსებ ბესარიონის ძემ ომის დროს. აი, ტიპური ბედი სოფლელი ჭაბუკისა, რომელიც ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ყველაფერი, რაც სტალინთან არის დაკავშირებული, მიხეილ ეფიმოვიჩ კატუკოვი აირეკლავს თავის .... ავტობიოგრაფიაში.

**კორ: — რატომ ბიოგრაფიაში? იგი თავის პირად ცხოვრებას არ გამოჰყოფს ბელადისგან. უფრო იოლი არ იყო მემუარების დაწერა?**

**ლ.ტ. იაზოვი:** — ის მემუარებს არ დაწერს, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ავტობიოგრაფიაშია, რომელსაც თარიღად 1960 წელი უზის: „მე ჩემს თავზე ვიღებდი სერიოზულ **პასუხისმგებლობას ომის მძიმე წლებში და პატიოსნად შევასრულე ჩემი ვალი, ომი ბერლინში დავამთავრე. და ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო იყო იმის შეგრძნება, რომ შევასრულე ფიციც და ამხანაგ სტალინისთვის მიცემული სიტყვაც“.**

მოგვიანებით თავის წიგნში **„ღირსსახსოვარი“** ეკატერინა ივანოვნამ ასე აღწერა თავისი იმ წლების შეგრძნებები: **„ამხანაგი სტალინი ჩვენთვის კომუნისტ-ბოლშევიკის მაღალი იდეალი იყო, რომ ჩვენ ყველანი, მათ შორის მეც, მისთვის ისე გავწირავდით თავს, რომ არც დავფიქრდებოდით“.**

**ლ.ტ. იაზოვი:**— 1937 წ. მოსკოვში ჩამოსულმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა **ლიონ ფოიხტვანგერმა** სტალინზე მსჯელობისას თქვა: **„მალე იწყებ გარკვევას, რომ მასები არა მხოლოდ პატივს სცემენ, არამედ უყვართ იგი. ის თვით მათი ნაწილია. სტალინი არა მხოლოდ დიდი სახელმწიფო მოღვაწე, სოციალისტი ორგანიზატორია, ის უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი ადამიანია“.**

**კორ: — აი, მის ადამიანობაზე სწორედაც რომ უარს ამბობენ, წარმოსახავენ პათოლოგიურ ბოროტმოქმედად, მონსტრად და ა.შ.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — მე უკვე ვთქვი, რა ყურადღებიანი, მომთმენი, მზრუნველი ხელმძღვანელი იყო, მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, ივან სტეპანოვიჩ კონევი უამბობს კონსტანტინე სიმონოვს იმაზე, რომ სხვა მხედართმთავრებთან ერთად იყო თათბირზე სტალინთან (ეს ომის შემდეგ ხდება), სიტყვა ჩამოვარდა შვებულებებზე. ბელადი ეკითხება:

— როგორ ბრძანდებით?

— ჯანმრთელობის მხრივ ისე რა, ამხანაგო სტალინ.

— შვებულებაში მიდიხართ?

— დიახ, მივდივარ.

— რა ხნით?

— თვენახევრით. მეტი არ შეიძლება ამხანაგო სტალინ!

— ეს როგორ — არ შეიძლება!, — და ბულგანინს მიუბრუნდა, რომელიც სახკომის პირველი მოადგილე იყო, — მიეცით სამი თვე. ამასაც სამი თვე, ამასაც სამი თვე, ამასაც... უნდა გვახსოვდეს, რა გადაიტანეს ადამიანებმა თავიანთი მხრებით, რა სიმძიმე ზიდეს, როგორ დაიღალნენ. საჭიროა სამი თვე, რათა თავი მოიწესრიგონ, დაისვენონ, იმკურნალონ.

ჰოდა, განსაჯეთ, როგორი ადამიანი იყო, ისეთი, როგორც ფოიხტვანგერთან და კონევთანაა, თუ როგორც სვანიძესა და ჟირინოვსკისთანაა?

**კორ: — აუცილებლად უნდა გკითხოთ როკოსოვსკიზე. მან კატუკოვივით ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მთავარსარდლის ერთგულება, თუმცა შეეძლო გულში წყენა შეენახა იმის გამო, რომ სტალინმა ის ბერლინზე დამიზნებული პირველი ბელორუსიის ფრონტიდან მეორე ბელორუსიის ფრონტზე გადაიყვანა, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს უსამართლო იყო, რომ რუს „შოვინისტ“ სტალინს ბერლინში რუსული გვარის მქონე კაცი სჭირდებოდა.**

**ლ.ტ. იაზოვი:** — იმით დავიწყებ, რომ სტალინს უყვარდა როკოსოვსკი მისი დელიკატურობის, ინტელიგენტობის და, რა თქმა უნდა, მისი დიდი სამხედრო ტალანტისთვის. ხოლო მისი ჟუკოვით შეცვლა 1-ელ ბელარუსიის ფრონტზე არანაირად არ იყო დაკავშირებული კონსტანტინ კონსტანტინოვიჩის ეროვნებასთან. ჟუკოვი უმაღლესი მთავარსარდლის პირველი მოადგილე იყო. როგორც სტალინის მოადგილე, იგი უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა მოლაპარაკებები, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოეწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე. ისე რომ, აქ საქმე გვქონდა უბრალო სუბორდინაციასთან, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ადამიანებთან ურთიერთობის მანერა სტალინსა და როკოსოვსკის ერთნაირი ჰქონდათ. ისეთივე კეთილგანწყობა, გაწონასწორებულობა, სიმშვიდე, ამით როკოსოვსკი განსხვავდებოდა ბევრი ომის დროინდელი კოლეგისგან.

**კორ: — ის, ალბათ, მძიმე დღეში ჩავარდა დასავლეთის ფრონტზე ჟუკოვის მოადგილეობისას?**

**ლ.ტ. იაზოვი:** — არ დაგავიწყდეთ, რომ ეს იყო მოსკოვთან, ყველაზე კრიტიკულ დღეებში, როცა ყველაფერი ბეწვზე ეკიდა. იქნებ იმ დღეებში სწორედ ჟუკოვისნაირი კაცი იყო საჭირო — ხისტი, უკომპრომისო, არავის რომ არ დაინდობდა გამარჯვებისთვის. ასე იყო იმ დროსაც, რის შესახებაც მინდა გიამბოთ, როკოსოვსკი მაშინ მე-16 არმიას მეთაურობდა. როცა ვითარება შეაფასა, მან ითხოვა უფლება, თავისი განუწყვეტელ ბრძოლებში შესუსტებული დივიზიები გადაეყვანა ისტრის წყალსაცავის იქით, იქ მოემზადებინა და მტრისთვის დაერტყა. მიიჩნევდა, რომ უამისოდ მოწინააღმდეგე გაარღვევდა მის თავდაცვას, სასწრაფოდ მიიღეს პასუხი: **„გიბრძანებთ, იდგეთ ფეხმოუცვლელად, ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხიოთ“.** ცდილობდა რა თავიდან აეცილებინა კატასტროფა, არმიის სარდალმა პირდაპირ მიმართა გენშტაბის უფროსს, მან გაითვალისწინა რა ურთულესი ვითარება, გაყვანის ნება დართო. მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა ჟუკოვის მრისხანე ტელეგრამამ: **„ფრონტის ჯარებს ვმეთაურობ მე, ბრძანებას ჯარების ისტრის წყალსაცავის იქით გაყვანის შესახებ ვაუქმებ. გიბრძანებთ, დაიცავით დაკავებული მიჯნა და ერთი ნაბიჯის უკან არ დაიხიოთ“.**

ეტყობა, სტალინმა ამ შეხლა-შემოხლის ამბავი შეიტყო და როკოსოვსკის დაურეკა. როკოსოვსკი კიდევ ერთი მრისხანე საყვედურის მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ ტელეფონის ყურმილში გაიგონა სტალინის მშვიდი, კეთილგანწყობილი ხმა: **„გთხოვთ, კიდევ რამდენიმე ხანი გაუძლოთ, ჩვენ დაგეხმარებით“.** მეორე დილას მე-16 არმიას შეემატა „კატიუშების“ პოლკი, ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ორი პოლკი, ტანკსაწინააღმდეგო თოფებით აღჭურვილი ჯარიკაცთა ორი ასეული, ტანკების სამი ბატალიონი და 2000 მოსკოველი, შეთხელებული დივიზიების შესავსებად.

ეს შემთხვევა იმის კიდევ ერთხელ საჩვენებლად მოვიყვანე, თუ რა ყურადღებიანი და ადამიანური იყო უმაღლესი მთავარსარდალი. მინდა, რომ სტალინის თანამებრძოლის ვიაჩესლავ მოლოტოვის სიტყვებით დავასრულო: „რაც უფრო ესხმიან თავს, უფრო მაღლდება, უფრო თანამიმდევრული, უფრო ტალანტური, უფრო დიდი ადამიანი, ვიდრე სტალინია, არ ყოფილა და არც არის“.

**კორ: — მე მოლოტოვის კიდევ ერთ დამოწმებას მოვიყვან: „მე ჩვენი მხედართმთავრები მიამბობდნენ, რომ სტალინი ბრძოლის წინ, ჩვეულებრივ ამბობდა: „აბა, ღმერთი შეგვეწიოს“, „შეგვეწიე, უფალო“.**

**მადლობა დიმიტრი ტიმოფეევიჩ, იმედი მაქვს შემდგომში გავაგრძელებთ ამ საუბარს და როგორც იოსებ ბესარიონის ძე იტყოდა — „უფალო, შეგვეწიე!“**

**მარშალს ესაუბრა**
**გალინა კუსკოვა**
(წყარო: http:www.kramola.info)

# რა თანხით ეხმარება რუსეთი აფხაზეთს და რაში იხარჯება გამოყოფილი ფული

**„2008 წლიდან მოყოლებული რუსეთმა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონს – აფხაზეთს თითქმის 37 მილიარდი რუბლი (616 მილიონი დოლარი) გამოუყო. ეს ბევრად მეტია „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ბიუჯეტზე, რომელმაც 2016 წელს მხოლოდ 28,6 მილიარდი რუბლი შეადგინა. ცხრა წლის განმავლობაში რუსული ფული კანონდარღვევებით იხარჯებოდა, თუმცა არცერთი ხმაურიანი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. აუდიტორებს თანხების დატაცება არ გამოუვლენიათ, ხოლო ფინანსების არაეფექტური გამოყენებისათვის აფხაზური კანონებით პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არ არის“,** – ნათქვამია „BBC“-ის სტატიაში (ავტორი – სერგეი კოზლოვსკი), რომლის ამონარიდებსაც აქვე გთავაზობთ.

ვრცელ პუბლიკაციაში განხილულია იმ ფინანსური დახმარების მოცულობა, რომლითაც რუსეთი აფხაზეთს და საქართველოს კიდევ ერთ სეპარატისტულ რეგიონს – სამხრეთ ოსეთს ეხმარება. ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ მცირე რეგიონების ბიუჯეტში მოსკოვის მიერ ჩარიცხული უზარმაზარი თანხები სრულიად უკანონოდ იხარჯებოდა, ძალიან ხშირ შემთხვევებში კი ადგილობრივი ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექებოდა, თუმცა რუსეთის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები ამგვარ დარღვევებზე დუმდნენ: **„ხაზინის ქურდები ჯერჯერობით არ არსებობენო“,** – ამბობდა 2010 წელს რუსეთის კონტროლის პალატის მაშინდელი ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი.

სტატიაში საუბარია რუსული თანხების მითვისების საკმაოდ ბევრ ფაქტზე: მაგალითად, 2012 წელს აფხაზური კომპანია „აბხაზვოდოკანალსერვისის“ საქმიანობის შემოწმების დროს გამოვლენილ უკანონობაზე, თუმცა არავინ დასჯილა. 2015 წელს დარღვევებზე საუბრობდა აფხაზეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი სერიკოვიც, მაგრამ მას გაგრძელება არ მოჰყოლია.



**„აფხაზური კანონმდებლობის ნაკლოვანებები სახალხო დემოკრატიის ნორმებით კომპენსირდება“,** – ამბობს ევრაზიული ეკონომიკური ორგანიზაციის ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ ლეპეხინი: **„წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომ აფხაზი თანამდებობის პირი თავის ნათესავს ანდობს რაიმე საქმის გაკეთებას. ერთი მხრივ, ამაში საეჭვო არაფერია, ასე აფხაზეთში ტრადიციულად ხდება და ყველამ ყველაფერი იცის, მეორე მხრივ – რადგანაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ხედავენ, საქმის ჩაფლავება მათ რეპუტაციაზე მოქმედებს“. ამგვარი დარღვევები ძალიან ხშირი იყო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის მმართველობის პერიოდში, როცა აფხაზეთში სახელმწიფო შეკვეთების განაწილებასა და მათ ფინანსური უზრუნველყოფის დროს კლანურობა და ნათლიმამობა ყვაოდა“.** მაგალითად, რესპუბლიკური სტადიონის მშენებლობის დროს უამრავი ფული დაიხარჯა, დოკუმენტები კი არ არსებობს. ძალიან ბევრ შემთხვევებში პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარს აცხადებს.

პოლიტოლოგების აზრით, აფხაზეთში დღესაც იგივე პრინციპია შენარჩუნებული და, ალბათ, უახლოეს წლებში არაფერი შეიცვლება.

რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის ფულის გამოყოფას აგრძელებს. 2017 წლის მონაცემებით, ფინანსური დახმარება 4,7 მილიარდ რუბლს (78 მილიონ დოლარს) აღწევს, ხოლო 2020 წლამდე კიდევ 11 მილიარდი რუბლის გამოყოფა იგეგმება. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ცხინვალი 16 მილიარდ რუბლს მიიღებს.

ექსპერტების თქმით, ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთის გავლენა აფხაზეთზე მნიშვნელოვნად მატულობს. მართალია, სოხუმს, ცხინვალისაგან განსხვავებით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურს, მაგრამ მოსკოვზე დამოკიდებულების ზრდის კვალობაზე, აფხაზეთის რეალური სუვერენიტეტი სულ უფრო მცირდება.

**„BBC“ (დიდი ბრიტანეთი)**

# აფხაზური ტურიზმი კრიმინალში ჩაიძირა

**აფხაზეთში ტურიზმი წლიდან წლამდე მცირდება, მაგრამ რაც წელს ხდება, ეს უკვე სრული კრახია. სეპარატისტები დამსვენებლებს უსაფრთხოების ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ სთავაზობენ, შესაბამისად, აფხაზთა „უფროსი და-ძმები“ ცივი ჩრდილოეთიდან უარს აცხადებენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ტურიზმზე. სხვა ალტერნატივა კი სეპარატისტულ რეგიონს არ გააჩნია.**

სოფელ არსაულში (პრიმორსკოეში) მომხდარი აფეთქების შემდეგ რუსი ტურისტების დაახლოებით 50%-მა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში დასასვენებლად ჩასვლაზე უარი განაცხადა.

**„პრიმორსკოეში საბრძოლო მასალის საწყობის აფეთქების გამო ტურისტული საგზურების გაუქმების მძლავრი ტალღა აღინიშნება“,** – განაცხადა ე.წ. „აფხაზეთის ტურიზმის კავშირის“ პრეზიდენტმა ანა კალიაგინამ, – **„აფეთქების შემდეგ გვირეკავდნენ, გვეკითხებოდნენ „რა ხდებაო?“. ადამიანები, ვინც უკვე თითქმის ბარგს ალაგებდა და ჩამოდიოდა აფხაზეთში, ამის შემდეგ უარს ამბობდნენ და აუქმებდნენ ჯავშნებს. რა თქმა უნდა, ეს არის ტურისტების მხრიდან ჩამოსვლაზე უარის თქმის ტალღა, თანაც საკმაოდ მძლავრი,“** – განცხადა კალიაგინამ.

**„ივლისში, გახმაურებული მკვლელობის შემდეგ – ორი კვირა იყო 50%-იანი ვარდნა. ახლაც, ამ აფეთქების შემდეგ – ისევ იგივე, 50%-იანი ვარდნა გვაქვს. მე შევწყვიტე ჩემი სააგენტოს რეკლამა, იმიტომ, რომ ამ ეტაპზე აზრი არა აქვს,“** – განაცხადა მან.

არსაულში (პრიმორსკოეში) მომხდარ ინციდენტს რუსეთის ორი მოქალაქე ემსხვერპლა, რომლებიც ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტებად იყვნენ ჩასული. საავადმყოფოებში კი 64 დაშავებული გადაიყვანეს.

გარდა ამისა, ტურისტების ერთმა ნაწილმა ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენება მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც 11 ივლისს ოკუპირებულ გუდაუთის რაიონში რუსი ტურისტი ანდრეი კაბანოვი მოკლეს, მისი ცოლ-შვილი კი გაიტაცეს.

ექსპერტების აზრით, მოთხოვნა აფხაზეთზე შესაძლებელია აღდგეს 2-3 თვის შემდეგ, ესეც იმ შემთხვევაში, თუ კიდევ რამე არ მოხდება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთში ტურისტული სეზონი გამოირჩევა მკეთრად გამოხატული სეზონურობით და საშუალოდ, ის სრულდება შუა სექტემბერში.

ე.წ. „აფხაზეთის ტურიზმის კავშირი“ იმედოვნებს, რომ 2 კვირის განმავლობაში ტურისტები დამშვიდდებიან და ისევ ჩავლენ დასასვენებლად.

**ბექა დანელია**




## ნაგასაკის ტრაგედიიდან 72 წელი გავიდა



**ზუსტად 72 წლის წინათ, 1945 წლის 9 აგვისტოს შეერთებულმა შტატებმა ჰიროსიმას შემდეგ მეორე ატომური ბომბი ნაგასაკიში ჩააგდო.** ტრაგიკული თარიღი ადგილობრივი დროით 11 საათსა და 2 წუთზე, ბომბის ჩამოგდების დროს წუთიერი დუმილით აღნიშნეს.

## სცენარში გამოსასყიდს ითხოვენ

**ჰაკერები, რომლებმაც „სამეფო კარის თამაშების“ სცენარი მოიპარეს, გამოსასყიდს ითხოვენ. მათ ინტერნეტში მეშვიდე სეზონის მეხუთე სერიის სცენარი გამოაქვეყნეს, რომელიც ეკრანებზე ჯერ არ გამოსულა.**

სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ ინფორმაციით, სცენარის ქურდები გამოსასყიდის სახით 6 მილიონ დოლარს ითხოვენ.

## ორანგუტანგი, რომელიც ჟესტების ენას ფლობდა, გარდაიცვალა



**ატლანტის ზოოპარკში მსოფლიოში ცნობილი ორანგუტანგი, სახელად ჩანტეკი გარდაიცვალა, რომელიც ჟესტების ენას ფლობდა. პრიმატი 39 წლის იყო.** მას გულის პრობლემები ჰქონდა და მკურნალობის კურსს გადიოდა. ორანგუტანგები 35 წელიწადს ცოცხლობენ. ჩანტეკი კი დეკემბერში 40 წლის გახდებოდა.

## გეი ქორწინება არ დააკანონეს

**ავსტრალია გეი ქორწინების დაკანონებაზე უარს ამბობს. შესაბამისი გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმა მიიღო. ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ავსტრალიამ უარი უკვე მეორედ თქვა. ამ საკითხზე კენჭისყრა პარლამენტში შარშანაც გაიმართა.**

## როუჰანიმ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებად ქალები წარადგინა



**ირანის პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტებად ქალები – შაჰინდოხტ მოულავერდი, მასუმეჰ ებტეკარი და შაჰინდოხტ მოულავერდი – წარადგინა. ჰასან როუჰანის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო უფლებების საკითხებში თანაშემწის პოსტს ასევე ქალი დაიკავებს.**

1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ, ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობაში მხოლოდ ერთი ქალი მინისტრი იყო. მინისტრთა ახალი კაბინეტი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

# ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

| ლოტის № | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 1028 | 53.08.42.317 | 823 | 246 | 83 | 30 |
| ლოტი №2 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 1221 | 53.08.42.266 | 740 | 222 | 74 | 30 |
| ლოტი №3 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 2273 | 53.06.34.444 | 1 819 | 546 | 182 | 30 |
| ლოტი №4 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასამხრალში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 4148 | 53.04.42.097 | 1 560 | 468 | 156 | 30 |
| ლოტი №5 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 30 948 | 53.14.49.076 | 11 900 | 3570 | 1190 | 30 |
| ლოტი №6 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 26 529 | 53.15.35.127 | 21 224 | 6369 | 2123 | 30 |
| ლოტი №7 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალა მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 19 378 | 53.10.35.100 | 8 400 | 2520 | 840 | 30 |
| ლოტი №8 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 26 000 | 53.11.38.248 | 20 800 | 6240 | 2080 | 30 |

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას,რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 03 აგვისტოდან 2017 წლის 01 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 01 სექტემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე,ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

**გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი**

---

საქმე № 1/43-2017

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 8 აგვისტო 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ამბროსი სვანიძე, გიორგი ფრუიძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

## გამოარკვია:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს მიერ 2017 წლის 10 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ამბროსი სვანიძისა და გიორგი ფრუიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 4 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა" და ამბროსი სვანიძეს შორის დაიდო №081615831 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2016 წლის 4 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა" და გიორგი ფრუიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ამბროსი სვანიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ფრუიძეს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ამბროსი სვანიძესა და გიორგი ფრუიძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ამბროსი სვანიძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ფრუიძე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებით.

## დაადგინა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ამბროსი სვანიძესა (პირადი №37001011923) და გიორგი ფრუიძეს (პირადი №62003015891) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ამბროსი სვანიძესა და გიორგი ფრუიძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ამბროსი სვანიძესა და გიორგი ფრუიძეს ეცნობოთ, რომ 2017 წლის 4 სექტემბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ამბროსი სვანიძისა და გიორგი ფრუიძის მიმართ.

5. ამბროსი სვანიძესა და გიორგი ფრუიძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

ხელბურთი

# პირველი ბარიერი გადალახეს

**24 ქვეყნის 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები ჩაებნენ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ოლიმპიური სასახლე მასპინძლობს. მოასპარეზეთა შორის არიან ქართველი ხელბურთელები, რომლებმაც პირველ ტურში ალჟირელებს სძლიეს.**

მატჩის მესამე წუთზე ანგარიში ბულბულაშვილმა გახსნა.



სტუმრებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. მერე უპირატესობას ქართველები დაეუფლნენ და ზედიზედ ექვსი ბურთი გაიტანეს. ბექა ორჯონიკიძის შეგირდებმა პირველი ტაიმი 16:9 მოიგეს.

პაექრობის მეორე ნახევრის დასაწყისშივე ჩვენებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მერე უპირატესობა ნელ-ნელა აფრიკელებს დაუთმეს. ერთ მომენტში ალჟირელებმა სამი წუთის განმავლობაში ხანდოლიშვილის კარი ზედიზედ ოთხჯერ აიღეს და ანგარიშში სხვაობა ექვს ბურთამდე დაიყვანეს — 25:19. საბოლოოდ მაინც ქართველმა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს 28:24 და მსოფლიოს ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს.

**ბექა ორჯონიკიძე:** წილისყრისას გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის სტარტზე ალჟირის გუნდს შევხვდებოდით. ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილი, თუმცა, აფრიკელებთან იოლი მატჩი რომ არ გველოდა, ეს ცხადი იყო. მესამე წუთიდან მოყოლებული, სტუმრები მდევრის როლში იყვნენ. ამ უპირატესობის მიუხედავად, დაკვირვებული თვალი შეატყობდა, რომ ბიჭები მაინც ღელავდნენ. ეს თვალშისაცემი უფრო მეორე ტაიმში გახდა, როცა განსაკუთრებული ჩავარდნა საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე გვქონდა. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოთ დასრულდა. დანარჩენ ტურებში უკეთ თამაშს ვპირდებით ქომაგებს.

**I ტური.**

**A ჯგუფი**. საფრანგეთი — ბაჰრეინი 42:20 (20:13), დანია — ეგვიპტე 29:28 (16:12), შვედეთი — ფინეთი 23:20 (10:11).

**B ჯგუფი**. გერმანია — ჩილე 39:22 (17:12), ისლანდია — იაპონია 26:24 (14:12), საქართველო — ალჟირი 28:24 (16:9).

**C ჯგუფი**.. ხორვატეთი — პორტუგალია 30:30 (14:16), არგენტინა — პოლონეთი 22:26 (10:13), ბრაზილია — კორეა 33:35 (18:18),

**D ჯგუფი**. სერბეთი — მექსიკა 29:18 (15:5), სლოვენია-ტუნისი 26:29 (13:15), ესპანეთი — რუსეთი 32:20 (15:7).

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# 20-წლამდელებიდან — ოთხ ერზე



**2017 წლის მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ნათამაშებ სამ მორაგბეს ტურნირის დასრულებიდან ორ თვეში ეროვნულ ნაკრებში დაწინაურების და „რაგბი ჩემპიონშიპში“ (ასევე ცნობილია, როგორც 4 ერი) თამაშის შანსი აქვს.**

ოთხი მონაწილიდან (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და არგენტინა) სამმა სატურნირო განაცხადი უკვე გამოაქვეყნა. სამხრეთ აფრიკის განაცხადშია მგეზავი ქერვინ ბოში. „ბოკე“ 19 აგვისტოს არგენტინას მასპინძლობს, რომელსაც ჯერ სატურნირო რაზმი არ დაუსახელებია. ბოშმა საქართველოს სტადიონებზე გამართულ ოთხ შეხვედრაში ითამაშა, მათ შორის — უმცროსი „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ.

„ვოლაბების“ განაცხადში ორი 20-წლამდელია — კვაჭი ჯორდან უელეზი და შუამარბი იზაია პერისი. უელეზმა თბილისში ხუთივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, ხოლო პერისმა მხოლოდ სამოასთან დაისვენა.

კიდევ ორი მორაგბე — ჰემიშ სთიუართი და სამა მალოლო ავსტრალიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის თვალთახედვის არეშია და არაა გამორიცხული, „რაგბი ჩემპიონშიპის“ დასრულებამდე რომელიმე მათგანი პირველ გუნდში დაწინაურდეს. 19 აგვისტოს ავსტრალია ახალ ზელანდიას მასპინძლობს.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# ჩვენს გავიხარეთ!

**საქართველოს 18 წლამდელ კალათბურთელ გოგონათა ნაკრებმა, რომელიც საკუთარ ისტორიაში რანგით ყველაზე მაღალი დონის ტურნირში — ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ასპარეზობს, პირველი გამარჯვება მოიპოვა. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის მე-4 ტურში შვეიცარიის ნაკრები 7 ქულის სხვაობით — 70:63 დაამარცხა.**

ქართველები პირველი პერიოდის შემდეგ 11:16 აგებდნენ და დიდი შესვენებისთვის შვეიცარიელთა 5-ქულიანი ლიდერობა შენარჩუნდა. ჩვენმა გოგონებმა მე-3 პერიოდში თამაშში გარდატეხა შეიტანეს და 10-წუთეულის 20:9 მოგების შემდეგ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 6 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო პერიოდში ქართველებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და B დივიზიონში პირველ გამარჯვებას მიაღწიეს. ჩვენს ნაკრებს 22 ქულით ნატალია ოთხმეზურმა ულიდერა, რომელმაც ტურნირის ბომბარდირთა შორის პირველი ადგილი გაიმყარა. მას საშუალოდ მატჩში 19.3 ქულა აქვს. შვეიცარიელებთან ბრძოლაში ოთხმეზურთან ერთად სოლიდური სტატისტიკა ჰქონდა ანა ქავთარაძეს, რომელმაც 16 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

საქართველოს ნაკრები ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრას ნორვეგიასთან გამართავს. ქართველებს 4 თამაშიდან მხოლოდ 1 გამარჯვება აქვთ და ჯგუფიდან ველარ გავლენ. ახლა ჩვენი ნაკრების მიზანი რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავებაა. ნორვეგიასთან მოგების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები მე-4 ადგილზე გავა და ჯგუფებში 3-4 ადგილების დამკავებლებთან ერთად ბრძოლას ტურნირის მე-9-16 ადგილებისთვის გააგრძელებს

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჭადრაკი

# მეტოქეთა ვინაობა გაირკვა



**საქართველოს დედაქალაქი წლეულს 2 სექტემბრიდან მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს.**

128 მონაწილეს შორის საქართველოს ოთხი წარმომადგენელიც იქნება — ვაჟთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ბაადურ ჯობავა (რეიტინგი 2687), ქალებში ბებერი კონტინენტის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (2519), საქართველოს ნაკრების წევრები — მიხეილ მჭედლიშვილი (2590) და ლევან ფანცულაია (2585). შეჯიბრება ნოკაუტსისტემით წარიმართება და პირველ ტურში ჯობავა ესპანელ ივან ლოპეს სალგადოს (2627) შეხვდება. ძაგნიძე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატს — ქართველების ჰოლანდიელ სიძე ანიშ გირს (2775, იგი დიდოსტატ სოფიკო გურამიშვილის მეუღლეა) დაუპირისპირდება. ლევან ფანცულაია იანკშიშტოფ დუდასთან (2707) გაარკვევს ურთიერთობას. 19 წლის პოლონელმა მოჭადრაკემ 2014 წელს ელვისებურ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მიხეილ მჭედლიშვილის მეტოქეა ევროპის 2016 წლის რუსი ჩემპიონი ერნესტო ინარკიევი (2702), რომელიც შარშან დეკემბერში ინგუშეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში პირველად იასპარეზებს მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2822). საჭადრაკო ოსკარის ხუთგზის მფლობელი ბრძენთა თამაშის ისტორიაში მსოფლიოს პირველი აბსოლუტური ჩემპიონია: დიდოსტატი გახდა 13 წლისა და ხუთი თვისა, 2013 წლიდან კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონია. მსგავსი ტიტულები 2014-2016 წლებში რაპიდში, 2014-2015 წლებში კი ბლიცში დაიმსახურა. თბილისური ტურნირის პირველ ტურში იგი ნიგერიელ ოლივაფემა ბალოგუნს (2255) შეხვდება.

ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ძაგნიძის გარდა, კიდევ ერთი ქალბატონი იასპარეზებს — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატების სამგზისა და საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2666), რომელიც პოლონეთის 2017 წლის ჩემპიონ კაცპერ პიორუნს (2632) გაუწევს მეტოქეობას.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ზიდანგეიტი გრძელდება

**მადრიდის „რეალმა“ სეზონი ტიტულით დაიწყო — ევროპის სუპერთასი „სამეფო კლუბმა“ ზედიზედ მეორედ, ისტორიაში კი მეოთხედ (რეკორდსმენია „ბარსელონა“ — 5) მოიგო. სკოპიეში ზინედინ ზიდანის გუნდმა ევროპა ლიგის გამარჯვებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაძაბულ ბრძოლაში, თუმცა, დამსახურებულად აჯობა.**

პირველ ტაიმში ფეხბურთი ერთმა გუნდმა ითამაშა — ესპანელები მეტოქეს მთელი თავით აღემატებოდნენ და, შესაბამისად, 24-ე წუთზე ლოგიკურიც იყო, რომ დანი კარვახალის დიდებული პასი კაზემირომ შეირგო და ანგარიშიც გაიხსნა, თუმცა, გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ბრაზილიელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ ვინაიდან უეფას ტურნირებში ჯერჯერობით ვიდეორეფერის არ იყენებენ, გოლი ჩაითვალა. და მაინც, ეს ლოგიკური გახლდათ — „სამეფო კლუბი“ საგრძნობ უპირატესობას ფლობდა.

მეორე ტაიმიც ასე დაიწყო — „რეალი“ უტევდა, „იუნაიტედი“ კი გააზრებულ ფეხბურთს ვერ თამაშობდა. სულ მალე ისკომ და გარეტ ბეილმა მარტივი, მაგრამ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ესპანელმა ახლო მანძილიდან სხვაობა გაზარდა — 2:0. თითქოს თამაშის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ზიდანის შეგირდები შეტევას აძლიერებდნენ და მესამეს გატანაც შეეძლოთ — ერთი ეგ იყო, ბეილმა ახლო მანძილიდან ვერ ივარგა და ბურთი ხარიხას გაარტყა. საპირისპიროდ ჟოზე მოურინიოს გუნდს არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ 62-ე წუთზე „მანჩესტერი“ თამაშში დაბრუნდა. ნემანია მატიჩის შორეული გასროლა კეილორ ნავასმა ცუდად მოიგერია, ხოლო ცარიელ კარში რომელუ ლუკაკუმ შეაგდო. სხვათა შორის, მანამდე ბელგიელმა მსგავს სიტუაციაში ვერ ივარგა და ცარიელ კარს ააცილა. აქვე გეტყვით, რომ ლუკაკუ რუუდ ვან ნისტელროის, ოლე გუნარ სოლსკიაერის, უეინ რუნისა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის შემდეგ მეხუთე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც სადებიუტო შეხვედრაში გაიტანა გოლი.

წინ „წითელ ეშმაკებს“ 30 წუთი ჰქონდათ მეორე ბურთის გასატანად და ცდა არ დაუკლიათ, მომენტებიც შექმნეს, მაგრამ გოლი ველარ გაიტანეს. მიზანთან ახლოს მარკუს რეშფორდი გახლდათ, მაგრამ ნორჩმა ინგლისელმა ნავასს ვერ აჯობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპიზოდმა „მანჩესტერი“ საბოლოოდ გატეხა, რადგან დარჩენილ 10 წუთში საგოლე მომენტი ველარ შექმნა, იტალიელი არბიტრის ჯანლუკა როკის დამატებულმა შვიდმა წუთმა კი ბურთის აქეთ-იქით გორაობაში განვლო და საბოლოოდ, გამარჯვება „რეალს“ დარჩა — 2:1.

მადრიდის „რეალი“ გახდა მესამე გუნდი ისტორიაში, რომელმაც უეფას ევროპის სუპერთასი ზედიზედ ორჯერ მოიგო. მანამდე იგივე 1972 და 1973 წლებში „აიაქსმა“, ხოლო 1989 და 1990 წლებში „მილანმა“ მოახერხა. თავის მხრივ, ზინედინ ზიდანი არიგო საკის შემდეგ მეორე მწვრთნელია, ვინც ორჯერ მოიგო ეს ტიტული. აქვე გეტყვით, რომ ოფიციალურ შეხვედრებში მოურინიოსთვის „რეალი“ დაუძლეველ ბარიერად დარჩა — 1 ფრე, 4 წაგება.

**გიორგი შოთაძე**



## გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევის 976 ფაქტი

**31 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული, მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 976 ფაქტი გამოვლინდა.**

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 7609 გადამხდელი. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 97 ფაქტი, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 84 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 795 ფაქტი.

## „ნინოწმინდასა“ და „ყაზბეგში“ არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

**7-8 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ნინოწმინდა“ და „ყაზბეგი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ჯამში 317.39 გრამი ოქროს არადეკლარირებული ნაკეთობები აღმოაჩინეს.** კერძოდ, 7 აგვისტოს, სგპ „ნინოწმინდაში“ 232.13 გრამი არადეკლარირებული საქონელი სომხეთიდან შემომავალი საქართველოს მოქალაქის, მ.ს-ს ბარგის დათვალიერებისას გამოვლინდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ



14,070.40 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 14,070.40 ლარის ოდენობით შეეფარდა. ხოლო 8 აგვისტოს, არადეკლარირებული საქონელი, 85.26 გრამი ოქროს ნივთები, სგპ „ყაზბეგში“, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, შ.ტ-ს ხელბარგში აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4063.34 ლარი შეადგინა. შესაბამისად, მოქალაქეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 4063.34 ლარის ოდენობით.

## სოფელ შროშასთან ტრაილერი ხევში გადავარდა

**რიკოთის უღელტეხილზე, ტრაილერი ხევში გადავარდა. შემთხვევა სოფელ შროშასთან მოხდა — სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა.**

ამ ეტაპზე მომხდარის მიზეზი უცნობია. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარის გამო არავინ დაშავებულა.



## გახშირდნენ ირანელი ნარკოგამსაღებლები

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ირანის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული მ.ქ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და კუთვნილი მოპედის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 425 აბი ამოიღეს.

## გურჯაანში, თონეში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნანიანში, შუა ხნის კაცი გარდაცვლილი იპოვეს.**

არსებული ინფორმაციით, ცხედარი თონეში ნახეს, სადაც იგი მუშაობდა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია პოლიცია, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

## წალენჯიხაში 30 წლის მამაკაცს ხე დაეცა

**წალენჯიხის რაიონში, სატყეო მეურნეობის უბან ოხაჩქუეში 30 წლის რინოს მიქავა ხეს ჭრიდა, მამაკაცმა ხე სიმძიმის გამო ვერ დაიმორჩილა და ხის ქვეშ მოჰყვა.**

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ცხედარს უკვე ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

მოგვხედეთ!

## „ნუგეშის“ საინტერესო ბიზნესი

**მოგეხსენებათ, საქართველოში ბიზნესის კეთებას ყოველთვის გამორჩეული თავისებურებები გააჩნია. ამის მკაფიო მაგალითია „ნუგეშის“ სისტემის დანერგვა მთელი თბილისის მასშტაბით. შეგახსენებთ მაღაზიები და ჯიხურები „ნუგეშს“ სადაც მოესურვებოდა, იქ დაუდგეს. ასე ბიზნესის წარმართვა ნებისმიერს შეუძლია, თუმცა ნებისმიერ მეწარმეს ამის უფლებას არავინ მოსცემს. ამ სისტემას სხვა მეწარმეების**




**დაკნინება მოჰყვა. ერთ-ერთი მეწარმე გვეუბნება, რომ ჩემი ჯიხური (გადასასვლელ ხიდთან) აიღეს და „ნუგეშის“ ჯიხური დააყენესო. ჯიხურები დაუყენეს მცირე მეწარმეებს არსებული მაღაზიების წინ, რომლებიც ბანკის სესხსა და ნისიების ჟურნალებში იხრჩობიან...**

დღეს „ნუგეში“ „ნიკორა“ გამხდარა, რა კარგია არა?! ამდენი ჯიხური, ამდენი მაღაზია, იცოდნენ როგორ უკანონოდ დააყენეს და მოიშორეს (წინა მეპატრონე) უგულავას ძმაბიჭებმა.

გაიარეთ დადიანის პროსპექტზე, ვაჭრობის ბიზნესია, ყველა მაღაზიის წინ „ნუგეშის“ ჯიხურებია! როდის უნდა დასრულდეს ეს უმსგავსობა საქართველოში? თითქოს მუშაობს ანტიმონოპოლური სამსახური, სინამდვილეში კი თვალებში ნაცარს გვაყრის...

ნუთუ ძნელი დასანახი ან მისახვედრია, რომ ასე ბიზნესი არ უნდა კეთდებოდეს, ანდა, არ იციან, „ფუდმარტს“ ადრე რა ერქვა და რამდენი მეწარმის ვალი ჰქონდა? დღეს სახელი შეიცვალა და ამით მორჩა? მოგეხსენებათ, ვაკე შედარებით პრესტიჟული რაიონია, საინტერესოა, „ნუგეში“ იქ ვის ანუგეშებს?

მაკვირვებს მეოცნებეთა დამოკიდებულება! კი არ ვთხოვთ თავები წააჭრას ვისმეს, ელემენტარული სამართლიანობათ უნდა აღადგონონ და მეწარმეების ინტერესი დაიცვან, ნამდვილი მეწარმეების!

ამას ელემენტარული ყურადღება და კანონის დაცვა სჭირდება.

**დადიანის ქუჩის მოვაჭრეები**

**გულნარა ჩაჩხიანი, სერგო ჯაფარიძე, გიორგი ყიფიანი, ნანული გულუა**

## დიდუბეში თანადაფინანსებული პროექტები 65 მისამართზე მიმდინარეობს

**დიდუბის რაიონის გამგეობა თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებას განაგრძობს.**

ამ ეტაპზე, სხვადასხვა სახის სამუშაოები 65 ობიექტზე მიმდინარეობს, რისთვისაც დიდუბის რაიონის გამგეობიდან 794 338 ლარია გამოყოფილი.

მოსახლეობისთვის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 11 ობიექტზე წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია, 12 მისამართზე ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთება, ასევე, სადარბაზოების რემონტი, საერთო სარგებლობის კიბეების, ლიფტების, სადარბაზოს მეტალის კარების, შენობის სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია და გამაგრება მიმდინარეობს.



დიდუბის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებული პროექტების განყოფილებაში ამ ეტაპზე განცხადებების მიღება მიმდინარეობს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მისაღებად, განცხადებები ყოველი თვის პირველიდან 10 რიცხვის ჩათვლით მიიღება.

## რუსეთმა 2006 წელს დეპორტირებულ ქართველს 30 000 ევროს კომპენსაცია ჩაურიცხა!

**რუსეთის ხელისუფლებამ პირველად აღასრულა ევროსასამართლოს დადგენილება და 2006 წელს დეპორტირებულ ქართველს 30 000 ევროს კომპენსაცია ჩაურიცხა, — ამის შესახებ განცხადებას „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ავრცელებს.**

მათი ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე ლია შიოშვილის საქმე, ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული გახდა იმ უამრავ საქმეთა შორის, რომელთა განხილვაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის ფარგლებში დააკმაყოფილა.

**„12 ივლისს პუტინის ხელისუფლებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ ქართველს 30 000 ევრო ჩაურიცხა. საქართველოს მოქალაქე ლია შიოშვილის საქმე, ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული გახდა იმ უამრავ საქმეთა შორის, რომელთა განხილვაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის ფარგლებში დააკმაყოფილა. რუსეთის ხელისუფლებამ პირველად აღასრულა ევროსასამართლოს დადგენილება და დაზარალებულს კომპენსაცია აუნაზღაურა. გასული წლის 21 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსარჩელე შიოშვილის საჩივარი დააკმაყოფილა და რუსეთს მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 30 000 ევროს გადახდა დააკისრა. 2006 წლის 20 ოქტომბერს, რუსმა სამართალდამცველებმა რვა თვის ფეხმძიმე ლია შიოშვილი ოთხ მცირეწლოვან შვილთან ერთად, მოსკოვის ოლქის ქალაქ რუზაში დააპატიმრეს. შემდეგ კი უკვე ცხრა თვის ფეხმძიმეს, საქართველოსკენ მატარებლით მგზავრობისას დაღესტანში ქალაქ დერბენდში დოკუმენტების გაუმართაობის მოტივით გზის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ მისცეს. ასთმით დაავადებული ცხრა თვის ფეხმძიმე ქალი, 4 მცირეწლოვან ბავშვთან და სხვა ქართველებთან ერთად, 2 კვირის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა. უკიდურესად გაწამებულმა ქართულმა ოჯახმა, მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში შეძლო ფეხით გადმოევლო დაღესტან-აზერბაიჯანის საზღვარი. 15 დეკემბერს კი გურჯაანის საავადმყოფოში ლია შიოშვილის მშობიარობა უმძიმესი შედეგით დასრულდა“, —** ნათქვამია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, რუსეთის მიერ 2006-2007 წლებში საქართველოს 7000-ზე მეტი მოქალაქის დეპორტაცია მოხდა.



ვულოცავთ!

## გოჩა გურული – 50

10 აგვისტო გოჩა გურულის დაბადების დღეა. სიყვარულის, ძმობისა და კაცობის მატარებელი, გამორჩეული შვილი, ღირსეული მამა და ბაბუა, მეგობრებში თავდადებული და უღალატო. ასეთ კაცად გიცნობენ ჭიათურაში და თბილისში. დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ ყველასათვის სასახელო გოჩა ჯემალის ძევ.

**ძმური სიყვარულით თენგიზ ქავთარაძე**

## ტყუილის ნიშნები



**ლაპარაკის დროს მატყუარა ხშირად ჩერდება და უკვე ნათქვამს მალ-მალე იმეორებს ხოლმე.**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვიდრე სიცრუეს იტყოდეს, მატყუარა პაუზას აკეთებს. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ სიმართლის დასათრგუნად ტვინს გარკვეული დრო სჭირდება. ამის გარდა, როცა კაცი იტყუება, მის სისხლში დიდი ოდენობით ადრენალინი იფრქვევა, ამიტომაც ნერვულ სისტემას ამ ჰორმონალური შეტევის მოსაგერიებლად დრო სჭირდება.

## თუ სასწრაფოდ „ფერარი“ დაგჭირდათ...

**სინგაპურში ვენდინგური ავტომატი გახსნეს, რომელიც... მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების – „ბენტლის“, „ფერარისა“ და „ლამბორჯინის“ ავტომანქანებით ვაჭრობს.**

15-სართულიან აპარატში მანქანები 60 სლოტშია განთავსებული. შენობის ქვედა სართულზე, სენსორული პანელის დახმარებით, კლიენტები მანქანებს ირჩევენ, რომელიც მყიდველთან ორ წუთში ჩამოდის. ამ ავტომატის მეშვეობით სალონის მეპატრონეებს სავაჭრო სივრცის მაქსიმალურად გონივრულად გამოყენება და, რაც მთავარია, მუშტრის მიზიდვა სურთ.



# პრიზად – ჟიზელი

**ბოლო საფეხბურთო მუნდიალის თილისმა, ჩვენი პლანეტის ოთხივ კუთხეში პოპულარული ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდჰენი ჭეშმარიტად ის ქალია, რომელთან თუნდაც ერთი წყნარი საღამოს გატარებაზე უამრავი მამრი ოცნებობს და ეს ოცნებები ლეგიტიმურია, რადგან შეუძლებელია კაცთა სქესს მიეკუთვნებოდე და ჟიზელის სახემ და ფორმებმა არ აღგაფრთოვანოს.**



რაკი მსურველი ბევრია, ჟიზელმა და მისმა მენეჯერებმა ფულის კეთების კიდევ ერთი საინტერესო საშუალება მოიფიქრეს და შექმნეს ლატარია, სადაც მთავარი პრიზი ჟიზელ ბუნდჰენთან ფეშენებელურ რესტორანში ერთი საღამოს გატარებაა იმის იმედით, რომ ამ საღამოს „სათანადო გაგრძელება“ ექნება.

თუკი ეს ლატარია რბილად რომ ვთქვათ, არასასურველმა კაცმა მოიგო, საღამოს მასთან გატარებისგან თავის აცილების ხერხების მოფიქრების „პატივი“, მოდით ჟიზელსა და მის ცბიერ მენეჯერებს დავუთმოთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბუნდჰენთან საღამოს გატარების მსურველი მრავალი ოყლაყი ჩადგება ლატარიის ბილეთების რიგში.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## კიბოთი დაავადებული – ჯომოლუნგმაზე



**კუჭ-ნაწლავის კიბოთი დასნეულებული ბრიტანელი იან ტოოტილი, რომელიც სნეულების ტერმინალურ სტადიაში იმყოფება, მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ჯომოლუნგმაზე ავიდა.**

ექიმთა ვერდიქტით მას სიცოცხლის რამდენიმე თვეღა დარჩა და, როგორც თავად მიაჩნია, უკურნებელი სენით შეპყრობილი პირველი კაცია, რომელმაც ამ ნაბიჯის გადადგმა შეძლო, რითაც საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მთავარია მონდომება, თორემ დაუძლეველი რამ ამქვეყნად არაფერია.

ნეპალში ექსპედიციის მოსაწყობი ფული იან ტოოტილს თანამგრძნობმა გულშემატკივრებმა შეუგროვეს, თანხის მორჩენილი ნაწილი კი საქველმოქმედო მიზნებზე დაიხარჯა.

## სიმართლის... სტიმულირება



**ადამიანს შეიძლება აიძულო, რომ... იყოს პატიოსანი, აცხადებენ შვეიცარიელი მეცნიერები.**

ციურიხის უნივერსიტეტის მედიკოსებმა ქალა-ტვინში აღმოაჩინეს ზონა, რომელიც ადამიანს კარნახობს, თუ რა შემთხვევაში უნდა იყოს პატიოსანი და როდის იცრუოს ანგარების მიზნით.

ელექტროსტიმულაციით მკვლევარებმა იმის მიღწევა შეძლეს, რომ მოხალისეები სიმართლეს ამბობდნენ ყველა შემთხვევაში.

## აშკარად არასასურველი პრეპარატი




**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორსულობის შესანარჩუნებლად გამოყენებულ წამლებს მომავალი ბავშვის... სექსუალურ ორიენტაციაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.**

მკვლევარებმა 34 ბავშვის სექსუალურ განვითარებას მიადევნეს თვალი, რომელთა დედები, მუცლის მოშლისგან თავის ასარიდებლად, ორსულობის დროს პროგესტერონით მკურნალობდნენ. აღმოჩნდა, რომ ბავშვების 29 პროცენტმა საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი, 17,6 პროცენტმა კი – ბისექსუალობისადმი ლტოლვა გამოამჟღავნა.

## ყველაზე მძიმე სპილო



**გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე მძიმე სპილო 1974 წლის 7 ნოემბერს ანგოლაში მოკლეს.**

იგი 13,5 ტონის, ცხრა მსუბუქი ავტომანქანის წონა იყო და ეს რეკორდი აგერ უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნისაა. აფრიკული სპილოები დედამიწაზე ყველაზე დიდი ხმელეთის ცხოველებია. მათი წონა, საშუალოდ, ოთხიდან რვა ტონამდეა და სიმაღლეში სამნახევარ მეტრს აღწევენ. სპილოებს ასევე ყველაზე დიდი ყურები აქვთ – მათი სიგანე მეტრი ორ მეტრზეა. ახალშობილი სპილო კი 100 კილოგრამამდე იწონის.

## გულის ახალი „დამცველი“



**ობიანი ყველი გულს იცავს, აცხადებენ მედიკოსები.**

გამოკვლევით დადგინდა, რომ ობიანი ყველი მოწევის პროცესში ანთების საწინააღმდეგო ნივთიერებებს აგროვებს, რომლებიც წვრილ სისხლძარღვებს დაზიანებებისა და ათეროსკლეროზული ბალთების წარმოშობისგან იცავენ. ამ ნივთიერებათა საფუძველზე მეცნიერები ახალი კარდიოპრეპარატის შექმნას გეგმავენ.

## სიგრილე საძინებელში

**სიცხე ხელს უშლის ღრმა ძილს, ჭარბი ტენიანობა კი ორგანიზმიდან სითხის აორქლებას აძნელებს, რის გამოც კაცი სიმხურვალეს გრძნობს, – აცხადებენ ამერიკელი ექიმები.**



საძინებელ ოთახში იდეალური ტემპერატურა ცელსიუსის 15-22 გრადუსია, თუმცა როდესაც ის 15 გრადუსზე ქვევით ჩამოდის, ძილისთვის არც ესაა კარგი. წლის ცივ დროში რეკომენდებულია დაძინებამდე ერთი-ორი საათით ადრე თბილი აბაზანის მიღება.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 12 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.3903; ევრო - 2.8246;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1150;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4089;
1000 სომხური დრამი - 4.9982.

**ამინდი 10 აგვისტოსთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +21 | დღე | +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე | +37 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +22, | დღე | +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +19, | დღე | +38 |
| თბილისი: | ღამე | +23, | დღე | +38 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge